# ცისკარი.

1868

ივნისი.

წელიწადი მეთორმეტე.

წოდება თხზულებათა:

1, ძველსა და ახალს შუა. (კომედია) თ. აკ. წერეთელისა. 2, ჩემს მუზას... (ლექსი) ალექსანდრე სამარიძისა. 3, კანდია, მოკლე ისტორიული აღწერა, წყალტუბელისა. 4, სატრფოს საფლავზე (ლექსი) ი. კერესელიძისა. 5, გიორგი მეათცამეტე. ლეონიდ ბარათა-შვილისა. 6, ბუნების მეცნიერებიდამ გ. დიდებულიძისა.

---

ტფილისს.

კერესელიძის სტამბაში.

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა 5-თე.

### სცენა 1-ლი. გამოსვლა 1-ლი.

მარტო სამსონ დილის მხიარულად.

სამსონ. ძალიან ლოჩილი რამე ვარ, ჩესტნი სლოვო! სწორედ გიჟი ვარ! ძალიან კი მოვარჯულე ეს ხალხი: როტოსავით გარშიდ დამყავს! იმ დურაკს თერგდალეულს ხმა ჩავაწყვეტინე..შევაშინე..ნინოსაც ახლა შეუყვარდი, თუ შეუყვარდი, თითქო ჯადო მეჭმიოს– ისე მექცევა..,მამა მისი რაღა? სულ ჩემი მაქებარია, ჩემს მეტი აღარა ახსოვსრა. ჩემი სტარი ფელდფებელივით ხელებში მემოჩერება!.. ხუთი ათასი თუმანი ამ ჩემს ჯიბეს, მასთანაც კი ლამაზი, კრასავიცა ცოლი, ერი ჰა!. ცოტა ჩემი ვკუსის არ არის ნინო ჩემი ვკუსის ქალი გრენადერივით მოყვანილი უნდა იყოს..ვაი, საყვარელო! ზოგიერთი მათუშკები რომ ვიცოდი პოლკში!..ოჰ, შენი ჭირიმე, მაჩვეებსა ჰგვანდნენ სიმსხოთი: მათ სისქეში ტყვიაც ვერ გაატანდა..ნინო ამითია კარგი, რომ ძალიან ლამაზია და თუ ჩემი ვკუსისა არ არის, მაგრამ

სხვებს კი მოეწონება...ერთიც ვნახოთ მე სადმე კამანდირო-ვკაში გამაქანებენ—აბა მაშინ იქნება ჯილდოების ალო! ერთ ორ წელიწადს პოლკოვნიკი გავხდები: მანამდის კი ყველას გაუკეთებ ჩესტს: ასე (უკეთებს ხელს) გამოვეჭიმები უფრო-სებს და მერე კი, როცა პოლკს მომცემენ, მე გამომეჭიმე-ბიან ყველანი. გაჯვლი და გამოყუდელი პოლკს წინ და მი-ვაძახებ მაღალის ხმით (ღრიალებს): სმირნა! (ამ ხმაზედ ნი-ნო შეშინებული გამოვარდება მეორე ოთახიდგან).

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 2-რე.

### ისივე და ნინო.

ნინო. რა იყო? რა დაგემართა? რამ შეგაშინათ?

სამსონ. (ხარხარებს). უკაცრავათ! მართალი ჰყოფილხართ! როგორ გეკადრებათ? დღეს თუ ხვალი ვოენი კაცის ცოლი გახდებით!

ნინო. იჰ, მე კი გული გადამიტრიალდა და...

სამსონ. ფიქრებმა გამიტაცეს: თქვენმა სიყვარულმა წარ-მომიდგინა მომავალის ჩვენის ბედნიერის ცხოვრების სურა-

თი, როდესაც მე თქვენ გაგზდით პოლკის კომანდირამათ; და ისე ნათლადაც კი წარმოვიდგინე, რომ თავი მართლა პოლკის კომანდირი მგონა, ეს მებლები სულ აფიცრებათ მომეჩვენენ და შპალერები რაზმათ და კამანდობა წამცდა!. უკაცრავათ! (ხარხარებს) მომიტევეთ!..

ნინო. (სიცილის იჭერს). მაშ თქვენ პოეტი ბრძანებულ ხართ!

სამსონ. (შეფერებით). დიახ, ცოტაოდენი! მაგრამ ვოენური პოეტი გახლავარ, პატიოსნური და არა შტაცკური სასაცილოს.. თქვენც მოგეხსენებათ: ვსიო ვოენნოე ბლაღოროდნო, а ვსიო შტაცკოე-სმეშნო! (ხარხარებს).

ნინო. არ შეიძლება ერთი რა წაგვაკითხოთ თქვენი თხზულებათაგანი?

სამსონ. დიდის სიამოვნებით? ნება მიბოძეთ რომ წაგიკითხოთ ერთი ვოენური რეჩი, რომელიც თქვენმა სიყვარულმა დამაწერინა.

ნინო. (შეფერებით, მორცხვათ). თქვენი ნება გახლდესთ!

სამსონ. (ახველებს). მე არ მინდა რომ შეგადაროთ თქვენ კოკობსა ვარდსა და თავი ესე ჩემი ბულბულსა მომღერალსა! ამ გვარი შედარება იქნება შტაცკური! ნება მიბოძეთ, რომ მოგახსენოთ ვოენურად! (ახველებს) „ჩემთვს თუთუნზედ უტკბესო და ჩინზედ უსასრულესო მშვენიერო მარსავ! „მარსი ვოენის ღმერთი გახლდათ და მარსა, უეჭველია, იმისი ცოლი იქნებოდა!.

ნინო. დიახ მესმის. (სიცილს იჭერს).

სამსონ., (ახველებს). მაშ ხელ ახლა მოგახსენებთ: „ჩემთვის თუთუნზედ უტკბესო და ჩინზედ უსასურველესო მშვენიერო მარსავ! სიყვარულმა თქვენდამი უეცრად იფეთქა გულსა შინა ამა ჩემსა, ვითარცა წამალმან თოფისამან და ალმინთო ტროფიალებისა ალი, ვითარცა არტილლერიის ცეცხლი და აჰა, მზა ვარ, რომ მოუთმენელად ზარბაზნივით გამოვიქუხო: მიყვარხარ! (ღრიალებს. ნინო სიცილს ვეღარ დაიჭერს და გარბის მეორე ოთახში). ეს როგორი დროს გამაწყვეტინა რეჩი? ისის იყო შევდიოდი ვოენურ ვდოხნოვენიები! არა!..მოეწონა, იამა და შერცხვა! მიტომ გაიქცა. — ჯერ ცხოვრებაში რეკრუტია, სალდათი, მაგრამ ნიჩეგო! მალე ვასწავლი ნაპლეჩოს, მალე გამოიცდება, მალე, სულ მალე გავწვრთენი ჩემებურად, ვოენურად...

გ ა მ ო ს ვ ლ ა 3-ე.

ისინივე და ივანიკა შემოდის.

სამსონ. ვისთანა ხარ?

ივანი. ბატონთათ, შენიჭირიმე! სუდის სეკრეტარმა ქაღალდი

მოგართვათ?

სამსონ. რაო.

ივანიკა. რა მოგახსენოთ, შენიჭირიმე! გახსნილია და თქვენ უკეთ გაიგებთ, თუ ინებებთ წაკითხვას. (აძლევს ბარათს წაიკითხავს და შეწუხდება).

სამსონ. ეოტ, ტებეინა! ეტო სკვერნო! აკი მამული ჩამოურთმევიათ ჩემი სასიმამროსთვის!.. (ვსტვენს) ამას კი ვერ მოვიფიქრებდი... კარგი რომ ადრე შევიტყე, შეიძლება კიდევ კაცმა თავს უშველოს.. აწ მზითევი კი არა, პირიქით სარჩენათ გამიხვდებიან... აქ სიძობა მე ხელს აღარ მომცემს, უმჯობესია წინდაწინვე დავასწრო, ვითომ არა შემიტყვია რა-თქო, სხვა მიზეზი მოვიგონო და ვარი უთხრა—ეს უფრო ჩესტნობა იქნება! (ბიჭს აძლევს წიგნს და ხუთ მანეთს). ჰა ეს შენთვის მიჩუქებია.

ივანიკა. გმადლობ შენიჭირიმე. მაშ წადი აქედგან, მიი-მალე სადმე ერთი ორი საათი და მერე მოიტანე ეგ წიგნი. ვაი შენსტყავს თუ არ დაგიჯერებია?.

ივანიკა (ღრეჭით). კი ბატონო, თქვენი ნება გახლდესთ. მიდის).

სამსონ. ეტო ნეხოროშო!. უმჯობესია ისევ ძველ სა-ცოლოს დაუტრიალდე: ქვრიობით არა უშავსრა.. ვღოუშკო-ბით ქალი დაიწუნება! აქედგან კი ნაჲდევა კრუგომ მარშ (მოტრიალდება და მიდის).

## ს ც ე ნ ა 2-რე

ოთახი დიდ ყურაძის სახლში

### გ ა მ ო ს ლ ა 1-ლი.

თავადი დიდყურაძე მეტად შეწუხებული, თავ და-
ხრილია სტოლზედ; ორივე ხელში უჭირავს წიგნები;
ნინო გვერდით უდგას და ანუგეშებს.

გრიგოლ. ვაი ჩემს სიბერეს! რა უბედურ დღეს მოესწარი!
ასე უეცრათ რომ ღვთის რისხვა კაცს მოსდგომოდეს ჯერ არსად გაგონილა!..

ნინო. კარგი, ბატონო, ნუ იკლავთ თავს! ნუ იწუხებთ...

გრიგოლ. ჩემმა გიჟმა შვილმა ერთი არზაც კი დამამადლა! აწ რაღამ გვარჩინოს? მიმშილით რომ დავიხოცოთ დამმარხავიც არავინ გვეყოლება!.

ნინო ჯერ მაგისთანა არა დაგვმართნიარა, რათ შეშინდებით? ისე გაცხოვრებთ მე და ჩემი ქმარი სამსონი, რომ

ცივ ნიავსაც არ მოგაკარებთ.

გირიგოლ. ვაი, რომ ვერა!.. იცი რომ სამსონ მეგირთაევს უმზითვოთ?

ნინო. უი მე!. ეგ როგორ იფიქრე?. სამსონ მაგისთანა კაცი არ არის, რომ მზითევს გამოუდგეს! ბევრჯერ შემოუფიცნია ჩემთვის, რომ მხოლოდ სიყვარულით გირთავო და... თქვენც ისე არ მარწმუნებდით?

გრიგოლ. კი, შვილო, მაგრამ თურმე ორივეს გვატყუებდა! მეტად უპატიოსნო კაცი ყოფილა! არა მჯერა? მაშ, აჰა, წაიკითხე მისი წიგნი და გაიგებ რასაცა მწერს.

ნინო (წაიკითხავს ბარათს და ვითომც ძალიან შეწუხდება): აი შენდალოცვილო! ხომ მომჭრა ახლა თავი და გავიკრიჭე ქვეყანაში! რომ დაგეჯერებინათ ნიკოსთვს ეს აღარ დამემართებოდა!

გრიგოლ. ვის ეგონა? ახლა მეც ვხედავ, შვილო: დავისხი თავსლაფი, შევირცხვინე თავი, გამიწყრა ჩემი წმინდა გიორგი დამიდგა თვალები და არ დაუჯერე მე ცოდვის შვილმა....

ნინო. მაშ ახლა მაინც ვკითხოთ რამე, ან ავს გვირჩევს ან კარგს.. მტერი ხომ არ არის თქვენი შვილია და ჩემი ძმაა..

გრიგოლ. კი, შვილო, მაგრამ რაღა პირით შევხედო! შევარცხვინე, გავკიცხე ის კაცი, მამულზედ, რომელიც თურმე მეც მეკარგებოდა, ხელი ავაღებინე მტერივით და გა-

ვაგდე გარეთ...

ნინო. რამდენი რამე მამა და შვილში მოხდება, ეგ რაღა მოსაგონებელია? დარწმუნებული ვარ, რომ ნიკო მაგვებს არ მისდევს, არც კი ეხსოვნება ეხლა..

გრიგ. ეგ შენ იცი, შვილო?. მაგრამ აწ რაღას გვიშველის?

ნინო. ვნახოთ მაინც (ეძახებს მეორე ოთახში). ნიკო, ნიკო, თუ მანდ იყო, ერთი აქ შემოდი შენს გაზრდას...

გ ა მ ო ს ვ ლ ა 2-რე.

ისინივე და ნიკო შემოდის.

გრიგოლ. მოდი, შვილო, მომიტირე! მომიტირე ამ სიბერის დროს!

ნიკო. რასა სწუხართ, მამა ბატონო? ჯერ მაგისი ფასი რა დაგვემართნია?

გრიგოლ. მეტი რაღა დამემართება, შვილო? რაღა ღონისძიება მოვაგვარო, რომ თავი ვირჩინოთ? მიწის ხელი მე არ ვიცი და ცულისა, ფული მე არა მაქვს და მამული!..

ნიკო. რა გვიჭირს! ახლა იმ კაპიტალს მივყოთ ხელი, რომელიც თქვენ ადრევე მოიმზადეთ. ის დავხარჯოთ

გრიგოლ. რა კაპიტალია, შვილო!: საცინლად მიგდებ? ღვთისაგან შეჩვენებული ვიყო, თუ ერთი გახვრეტილი აბაზი მქონდეს შენახული...

ნიკო. მაშ მე რომ გამომზარდეთ, ის რა იყო? ჩემი სწავლა კაპიტალი არ არის? რათ არ იცოდით, რომ ამ დღისათვის გამოგადგებოდით და არა არზების საწერათ..

გრიგოლ. რაია, შვილო! ვერ გავიგე რაზედ მეუბნები?

ნიკო. ადრევე რომ ადგილს მაძლევდნენ ორას თუმნიანს და მე არ ვიღებდი, ახლა თანახმა ვარ და შევდივარ სამსახურში. ორასი თუმნით უზრუნველად გაცხოვრებთ! თქვენი გულისათვის მე არ დავეძიდები პატიოსან ოფლის ღვრას!.. შვილის ვალია რომ დაუტკბოს მამას მოხუცებულობა!..

(მოეხვევა). ნუ ჯავრობთ, გულს ნუ გაიტეხთ!.. მოთმინება იქონიეთ...

გრიგოლ. (მოეხვევა შვილს). ქრისტემ გაკურთხოს, შვილო! სიყვარულიც თქვენა გცოდნიათ და კაცებიც თქვენა ყოფილხართ!.. პასუხის გებაში იქნება ის მამა, რომელსაც შვილი ეყოლოს და მისი სწავლა და განათლება არ ეძიოს!.. შერცხვენილი იყოს, ვინც ჩვენ სტუდენტებზედ ძვირს ბევუბნებოდეს!.. შვილო, ჩემი თავისათვის აღარასა ვწუხვარ, მაგრამ ამ შენს საცოდავ დას რაღა ვუყოთ, ხომ დაგვირჩება

გაუთხოვარი! ნეტაი შენი სიტყვა დამეჯერებინა და ალექსანდრესთვის მაინც მიმეცა..

ნიკო. ეგ ეხლაც შეიძლება, მოხერხდეს...

გრიგოლ. რაღა დროსია? ის კაცები: მამაც და შვილიც გავეთათხე, გავათრიე და ჩემი სახლიდგან დავითხოვე და ახლა გიჟები ხომ არ არიან უმზითოთ ქალი მთხოვონ.

ნიკო. ალექსანდრეს სიყვარული არა ჰგავს სამსონისას, ალექსანდრეს მე კარგა ვიცნობ რა კაცი არის? ნინოს სიყვარული ბევრს მოათმენინებს.. გნებავს კიდევაც დაგიმტკიცებთ ამას (გაჰძახის მეორე ოთახში)· აწ დრო არის გამოხვიდეთ!.. გამობძანდით!..

## გ მ ო ს ვ ლ ა 3-მე

ისინივე, ალექსანდრე და...

ნიკო. ალექსანდრე! მოდი, მოჰკიდე ხელი ნინოს და მიდით ნება გამოსთხოვეთ მამას. გრიგოლ. იიმე! მართლა ამბობთ, თუ მეხუმრებით! ამაზედ უფრო სასიამოვნო რაღა იქნება ჩემთვის? ჩემი უბედურება აწ უბედურებად აღარ

მიმაჩნია! ქრისტემ გაკურთხოსთ! ადრევე ჰყოფილხართ ერთმანერთის წერა, მე რაღა უნდა მეთქმოდეს, ან აქამდი რათ ვამბოდი უარს? გვირგვინს თურმე ზეცა ნიშნავს და ხორციელი როგორღა შეცვლის! დაილოცოს ღმერთო შენი სამართალი!..

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 4-ზე

ისინივე და სამსონ შემოიჭრება გახარებული.

სამსონ. მომილოცავს, კნიაზო! მომილოცავს!

გრიგოლ. (ზეზე წამოხტება). რას მილოცავთ! ქორწილს?

სამსონ. იმას, რომ საქმე თქვენ მოგიგიათ! სუდის გადაწყვეტით მამული თქვენ დაგრჩენიათ!.. მომილოცავს!

გრიგოლ. (სიხარულით). ნუ ხუმრობთ?? მაშ ეს სეკრეტრის წიგნი რაღა არის?

სამსონ. ეგ არაფერი! — გიხუმრეთ, რადგან დღეს პირველი აპრილია!

გრიგოლ. იმე! უშადური ამყოფოს ღმერთმა და უგვერ-

დული მაგისთანა ხუმრობისათვს, მეკი გული გადამიტრია-ლდა და!.. (სიხარულით). ეჰ, რა გაეწყობა, მადლობა ჩემს იესო ქრისტეს! მე ეს ყოველივე სასწაულად მიმაჩნია! ვენა-ცვალე მის ძლიერებას, მე ამის ღირსიც არა ვარ!..ახლა, შვილო, ყოველივე შენ იცოდე, შენი დის მზითევიც შენზედ მომანდვია შენ იცოდე და ალექსანდრემ.. მე აღარაში გა-ვერევი.

სამსონ. როგორ თუ მზითევი? რაზედ ბრძანებთ მაგას?

გრიგოლ. რაღაც თქვენი წიგნი მებოძა, რომლითაც უარს მითვლიდით ნინოზე, ბგე ამ კაცს მივეცი ჩემი ქალი. ისემც ღმერთმა ბედნიერება თქვენ მოგცეთ, საბედნიეროთ ახლა მე ის მიმაჩნდეს და ესენიც გახარებულნი იყვნენ..(თა-ვისთვის). აცა! აცა! ვერ მოგიწანწკლე გული, შე პლუტო?

სამსონ. (შეწუხებით). რასა ბძანებთ? როგორ ვერ მიხვ-დით, რომ ვიხუმრე, რადგანაც პირველი აპრილი არის დღეს და ასე მალე როგორ მოვიფიქრებდი..მასთანაც ნი-ნოს ასე უყვარვარ...რა ვიცი...როგორ დავიჯერო?..

გრიგოლ. (პუბლიკას). ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ! რა პლუტი ყოფილა, შენი ჭირიმეთ! კიდევ უნდა რომ თვალსა და ხელ შუა მომატყუოს.. (სამსონ). რაღა გაეწყობა! ყოველივე ღვ-თის ნება ყოფილა, ვენაცვალე მისს ძლიერებას! უმისოთ ხის ფოთოლიც არ ჩამოვარდება, არა თუ ქალი გათ-ხოვდეს.

ნიკო. ხუმრობა კი არ გეგონოსთ, ბატონო კაპიტანო!

(დაცინებით). პირველი აპრილი რომ არის?-გთხოვთ ქორწილში გვეწვიოთ,—უთქვენოთ კი უკეთესი იქნება. (თავს უკრავს).

სამსონ. მე არა მგონია, რომ ნინოს გული შეცვლილიყოს!.

ნინო. დიახაც არა! დარწმუნდით, რომ ეს გული არაოდეს არა ყოფილა თქვენი ერთგული და ამის მოღალატე (ხელს ადებს ალექსანდრეს, დაცინებით). უმორჩილესად გთხოვთ ნუ გამცვლით თუთუნში, ნურც ჯილდოებში!. (თავს უკრავს. ყველანი თავს უკვრენ და მიდიან მეორე ოთახში).

## გ ა მ ო ს ვ ლ ა 5-თე

### მარტო სამსონი.

სამსონ. (დიდ ხანს დაფიქრებული და შეწუხებული მიჰჩერებია პუბლიკას). ვოტ სკვერნოე პოლოჟენიე! აბა ეს არის ახირებული მდგომარეობა! აჰა! ზაბრაკოვანი კაკ კავალერიისკუიუ ლოშად! ურგები ცხენივით დამიწუნეს!.. ეს სულ იმ თერგდალეულის ბრალია!..ეტო პოდლო?.. რა ამბავი შომაყენეს!.. (დაფიქრდება). ეჰ, გულს რათ ვიტეხ? ჩტოჟ

ტაკოე? ქალს ვინ დამიკავებს, ცოლს როგორ ვერ შევირთავ ნინო თუ არ იყოს, კატო იყოს, კატო ნუ იქნება-სალომე ხომ იქნება? ქალი ყველა ქალია, სულ ერთია,.. მე დღეს თქვენში ქალი ძვირათ მეგულება, რომ ცოლობაზედ უარი მითხრას, პირიქითაც შემეხვეწებიან მათი დედ მამები.. მაგრამ დღეს კი ამომაძუებიეს, დამაბრუნეს შტურმიდამ, ატბოი დამაკვრევინეს, რალა გზა მაქვს რომ არ წავიდე? ნალევა კრუღლომ მარშ! (დატრიალდება, მუზიკას დაუკრავს პირით და მარშით მიდის. ფარდა დაეშვება).

დასასრული.

თ. აკ. წერეთელი.

## ჩ ე მ ს  მ უ ზ ა ს .

უცხო სტუმარო, ხომ გახსოვს, პირველ რომ გამომე-
ცხადე,
მომეც ალთქმითი კავშირი, ტკბილი ცხოვრება მიქადე,
მით გრძნობა ტკბილი, უცნობი, უცნაურ-ძალით მებადე,
მონა მყავ შენის ნებისა, ძალით ამხადე პირ-ბადე?

მის შემდეგ ჩვენის კავშირით რა ერთხელ მომილხენია!..
შენთან კოცნაში დამდნარ ვარ, ტკბილი ცრემლები მდენია!
სულ ვარდსა ვკრეფდი, ყორნის ხმაც ბულბულის სტვე-
ნად მსმენია,
ბნელ ღამეშიაც მნათობო გულს შენი სხივი მფენია!....

დიდხანს გმონებდი ლამაზო, ნათლის სპეტაკით მოსი-
ლსა,
გულს ფინდაზად გიგებდი, შენის სურვილით ალვსილსა,
ყელი-ყელს გადაჭდობილი, ნებით ვიფრთხობდით ტკბილ
ძილსა,
მოუყირჭებლად შევსვამდით ფიალით შარბათსა ტკბილსა.

დღეს სხვა გვარად გჭვრეტ, ნაცნობო, ტანი გიმოსავს შავითა
აღარ გიცინის ეგ სახე, დამტირი მოხრილ-თავითა!
ნუ თუ სოფელმან დაგძლია, მისის ძლიერის დავითა,
გასწყვიტა შვების სიმები, გზულით, გულ-საკლავითა?

ადრინდელივით ლამაზი, ბულბული, გავსილი მთვარე,
ვერ მახარებენ, დამეხშო გული ვით ბნელი სამარე! —
ნაცვლად ლხინისა ჭირსა ვმკი, შარბათის წილ ვსვი ძიმწარე!
სიღლა ხარ ლხინის მოყვასო?..აწ ჭირიც გაიზიარე!..

ჯერ ცოცხალ მკვდარი ჩემებრი ჭაბუკი არსად ნახულა:
ცოცხლადვე მიხედი ჯოჯოხეთს, ჩემს გულში გამოსახულა!
უდროვოდ სიკვდილსა ვსწყევლი, სიცოცხლემ თავი მაძულა;
მას შემდეგ რა ის აღარ მყავს, მომიკვდა და დამარხულა!.

სახალხოთ ძალით მოცინარს, ნაღვლით მაქვს გული ვსებული.
და გინდ ერთ ბამად მომფინოს სოფელმან თვის სიხარული,
უკვდავით მაინც ვერ მკურნავს, ვიტანჯვი სევდით შეკრული,
რა ანგელოსი გამიქრა და თან წამიღო გლახ-გული-

ალექსანდრე საძარიძე.

# კანდია.

მოკლე ისტორიული აღწერა (*).

კანდია, ძველი კრიტი, არის ერთი შუა ზღვის უდიდეს კუნძულებთაგანი· მას უჭირავს 35-დე გრადუსი ადგილი ჩრდილოეთის სიფართის და 21 — 24 გრადუსამდის აღმოსავლეთის სიგანისა არის მოშორებული 126 ვერსტზედ მორეისგან, 170 ვერსტი აზიის ნაპირისგან და 280 ვ· აფრიკის ჩრდილოეთის ნაპირისგან. სიგრძით აღმოსავლეთის მხრიდგან დასავლეთამდის, კანდიას აქვს 230 ვერსტი, სიგანით 20 — 57 ვერსტამდის. სულ შეიცავს 197 კვადრატულ მილს (1379 ვერ.). მცხოვრებლები ითვლებიან 265,000 კაცამდის, რომელთაგან ერთი მესამედი მუსულმანები არიან.

კანდია-კუნძულს სიგძით ჰყოფს მთების ჯაჭვი, რომელ-

---

კანდიელების ახლანდელი მდგომარეობისაგამო ხშირად იბეჭდებიან დროებაში სხვა და სხვა ცნობები, ტელეგრამები; ამისათვის ზოგიერთი ქართველ მკითხველებისთვის სასარგებლოდ დავინახე მათი გაცნობა ამ მოკლე ისტორიულის აღწერით, რომელიც გამოვკრიბე რუსულის სტატიებიდგან.

თაგან უდიდესი არის, თითქმის კუნძულის შუა ადგილზედ, ეს მთა იდა, სადაც ვითომც უნდა აღზრდილიყოს ზევესი. (*) ამ მთისაგან მიდიან მაღალნი და ფართენი მთის შტოები სახელდობ: დასავლეთის მხრისკენ სფაკეთის მთები, რომლებთ მცხოვრებლებმა (სფაკიელებმა) დაიცვეს კანდიის ძველი მცხოვრებლების ჯიში თეთრი მთები, რომლებიც შეადგენენ სფაკეთის მთების ნაწილს და მიდიან სამხრე აღმოსავლეთიდგან ჩრდილოთ დასავლეთისკენ, შემდგომ მოუხვევენ, თან-და თან ვიწროვდებიან და თავდებიან გრაბუზის ანუ ბუზოს ცხვირით (*). აღმოსავლეთისკენ მიდიან იუქთა (წმიდა მთა) და დიკთი, შესანიშნავი და არა ნაკლები იდა მთაზედ. მთათა შორის მდებარებენ მშვენიერნი და ნაყოფიერნი ვაკე ადგილები, რომელთაგან განსაკუთრებით შესანიშნავი არის ძველი გორთინია, რომელსაც ეხლა ეწოდება მესსარა. ის მიდის იდას მთიდგან სამხრეთისკენ და არის ერთათ ერთი სამხრეთის ნაპირზედ, ამისთვის, რომ მთელი სამხრეთის მხარე კანდიისა თავდება ოღრო-ჩოღრო ადგილებით და შეადგენს ფერდოებს, რომლისგამო აქ თითქმის არ არიან ნავთ საყუდელები, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთის მხარეზედ არიან, მრავალი უბეები და ნავთ საყუდლები.

---

(*) ზევსი იყო ბერძნებისა და რომაელების ღმერთების თავი. ამ ღმერთის სახელი რომაულად არის იუპიტერი.

(*) ხმელეთის ნაწილი, კაცის ცხვირივით შესული ზღვაში, იწოდება ცხვირად

კანდია ამ დროში არის გაყოფილი **19** ეპარხიად. რომელთაც საადმინისტრატო შუა ადგილებათ აქვთ შემდგომი ქალაქები: კანეია, რეტიმო და კანდია. პირველი, ანუ დედაქალაქი კუნძულისა არის კანდია, რომელიც მდებარებს ჩრდილოეთის მხრით კანდიის ქალაქიდგან. რეტიმო ძველად რიტიმნა, არის შორის კანეისა და კანდიისა, უკანასკნელიდგან არს მოშორებული 64 ვერ. დასავლეთის მხრით; ზუდაციხე მდებარე შორის რეტიმისა და კანეისა; გრაბუზა — უბე (залив) და ციხე-კანეის მახლობლად; კისამოსი — დასავლეთის ნაპირზედ; სელინოსი-არს ციხე, მდებარე სამხრე დასავლეთის კუნძულის ბოლოში: სფაკია სიმაგრე, იმყოფება კუნძულის სამხრეთის ნაპირზედ; ასკიფო, რომელსაც შეადგენენ შვიდნი სოფელნი, მდებარენი სფაკიის მთებზედ. სითია (ძველი ქითიონი) არს პატარა ქალაქი ჩრდილოეთის მხრისკენ კუნძულის აღმოსავლეთის ბოლოს; ირაკლიონი პატარა ქალაქი, მდებარე კუნძულის აღმოსავლეთის ბოლოს; გირაპეტრა ქალაქი სამხრეთის ნაპირზედ კუნძულის აღმოსავლეთისკენ; სპინა-ლონგა — ციხე არის მოშორებული 48 ვერ. ქ. კანდიისაგან აღმოსავლეთის მხრისკენ.

კანდიის კუნძულზედ არ არიან დიდრონი წყლები; თითქმის მესამედი ნაწილი კუნძულისა იწყება იდის მთისაგან, რომელიც ზოგიერთს ადგილებს არის დაფარული მარადის თოვლისაგან. იდის მთისაგან გამოდიან ჩრდილოეთის ნაპირს მხრისაკენ, პატარა წყლები ოაქს (რომელსაც ეხლა ეწოდე-

ბა არკადი ფიუმე), თრითონი (გეოფირო) და ალენიზი (ქართელო); ხოლო სამხრეთის მხრისკენ გამოდიან—კათრაქთი (უცურო), ლეთეი (მალოგნითი), ელქთარა (გალინი) და მასალია (მეგალო). თეთრი მთებისაგან გამოდის იორდანე წყალი, დიქთი მთისაგანევერათი (აპოსელემი.) დეკემბერში დაიწყება კანდიაზედ წვიმიანი ამინდები და გაგრძელდება მაისამდის; დანარჩენ შვიდ თვეებში არის მშრალი და თბილი ტაროსი.

კანდია მდიდარი და მრავალ-ნაირი მცენარეებით ნიადაგი ითვისებს ყოველ ნაირ თესლს. მაზედ შეუძლიან იხეიროს ენდროს, შაქრის ლერწამს, თითქმის ყავის ხესაც; კუნძული აძლევს მცხოვრებთ მშვენიერ ღვინოს, მარილს, ხილებს, მრავალ ზეთს, თაფლს, აბრეშუმს, მატყლს და პურს. განსაკუთრებით უფრო დასახელებული ადგილები არიან: კანეია, რეთიმო და კანდია ქალაქები.

პირველ დაწყებითი ისტორია კანდიისა არის სავსე ბნელი გარდამოცემაებით. პირველი მცხოვრებლება კუნძულისა იყვნენ ელინები, დორიელთა და ეოლიელთა ნათესავისაგან, თითქმის 1,500 წ. ქრისტეს შობამდის იყო მათ შორის გავრცელებული ლტოლვა ზღვის ექსპედიციისადმი (*) მინისი, თანამედროვე თეზეისა, და შეიძლება ვიფიქროთ, პირ-

(*) ექსპედიცია ეთქმის ხალხისა ანუ გემების გაგზავნას ზღვაზედ საომრად ანუ გამოსაკვლევლად რამე ადგილისა.

რეელი მეფე კანდიისა, იყო განთქმული ძლიერი ფლოტი-თა (*) და მოსპო ზღვაში მცარცველობა, რომელიცა იყო გავრცელებული საბერძნეთის ზღვებში. ტაციტი (*) ამბობს რომ, ვითომც იუდეველნი (ებრაელნი) პირველად წარმოდგ-ნენ კრიტის კუნძულიდგან; მაგრამ ეს შეცთომა მოხთა იქე-დგან რომ, მან აღურია იუდეველნი იდიელებთან, იდი მთის მცხოვრებლებთან. უეჭველია, რომ ვიფიქროთ, კრიტის კუნძულიდგან გამოვიდნენ ფილისტიმელნი, ამის საფუძველს პოულობენ დაბადებაში. (წინასწარმეტყ. როფონ, 2, 5. და წინასწარმეტ. ეზეკიელ. 25, 16).

უწარჩინებულესნი მინოსის მემკვიდრეთაგან იყვნენ მისი შვილის-შვილები იდომენე და მირონ, რომლებმაც მიიღეს მონაწილება „ტროადის ომში" (1124-1186). ჰომერი თავის პოემაში (ილიადა 2,649) იხსენებს კრიტს, ძრიელ ხალხოვან და მოშენებულ კუნძულად, და ამბობს, რომ მა-სში იყო ასი ქალაქი. კრიტის მეფეების მმართველობაში იყვნენ ციკლადის კუნძულები, რომელთაგან ზოგნი იყვნენ შეცლილნი მათგან კოლონიებად. კრიტიელთ ძველის ძვე-ლად ბევჯერ მიუღწევიათ ალჟურველთ სიცილიამდის. მონა-რხიულმა მართველობამ მოაღწია კრიტზედ უკანასკნელის მეფის ეთეარხის დრომდის (800 წ. ქრ. შობ.), ხოლო შე-

---

[*] ფლოტი ეთქმის სამხედრო გემების ანუ ნავების კრებას.
[*] ტაციტა იყო ისტორიკოსი, რომაელთ ნათესავი.

მდგომ მის შეიცვალა ფედერატიულ მართველობად (*) მეფეების ადგილი დაიჭირეს ესრეთ წოდებულთ კოზმებმა, რომელთაც ჰქონდათ ის მნიშვნელობა, როგორიც მნიშვნელობაც სპარტაში ქონდათ ეფორებს (*). დროების განმავლობაში შინაგანი დაუწყობლობისა და გარეგანის ომების გამო არისტოკრატიულმა მართველობამ დაკარგა თავისი ძალა და დასშალა დემოკრატიამ.

**68** წ. ქრისტეს შობამდის კრიტი დაიპყრეს რომაელთა, რომელთაც მიტრიდატთან კავშირის დაჭერისათვის შესცვალეს კრიტის რომის პროვინციად; შემდგომ ამისა მართავდნენ ამას რომის პროკონსულები. მიტელლმა ამ კუნძულის დამორჩილებისათვის მიიღო სახელი „კრიტელისა“. იმპერატორების დროს კრიტი და კირინეია ერთათ შეადგენდნენ ერთს აფრიკის პროვინციელებთაგანს. კრიტის მცხოვრებლებთა შორის იყვნენ მრავალნი ებრაელნი. **13** საუკუნეში იმპერატორის კლავდის მართველობის დროს კრიტში მოხდა საშინელი

---

[*] ფედერაცია [ლათინური სიტყვაა] ნიშნავს შორის რამდენიმე სახლის ანუ სხვა და სხვა წოდების პირებთა, დადგენილს საზოგადო კეთილ დღეობის მოსაპოვნელად და დასაცველად.

[*] ეფორები ეწოდათ სპარტთა ხუთ მსაჯულთ, რომელნიც თვალყური ეჭირათ მეფეების ქცევასა და მოქმედებაზედ. ამათ ლიკურგმა გადმოუღო სჯულები სპარტისათვის კრიტის სჯულებისაგან. ჰქონდა უფლება გადაყენებისათ მეფეა და თუ საჭირო იყო დასჯისაც კიდეც.

მიწის ძვრა; ფილასტრატის მოწმობით ზღვა მოვარდა ამ დროს კრიტის ნაპირებს 7 სტადიონზედ (*) ეს უბედურება ხელ მეორეთ მოხდა კიდევ 368 წ. ათანასეს ცხოვრების მწერალი ამბობს, რომ ამ დროს იყო ეგრეთი მიწის ძვრაო, რომ მსგავსი არა ოდეს არ ყოფილაო; ამ მიწის ძვრის დროს დაიქცა კრიტში ას ქალაქზედ მეტიო. შემდგომ მცირეხნისა გრაციანეს მეფობის დროს მოხთა კრიტზედ წყლის მომატება, რომელმანც, მოწმობისაებრ ვედრინისა, ხომალდები შეყარა მთებზედ სიმაღლით 100 სტადიონზედ.

ქრისტიანობა იყო დაფუძნებული კრიტის კუნძულზედ მოციქული პავლესაგან (შორის 54 — 57 წ.), რომელმაც დაუტევა იქ თავისი ერთგული მოწაფე ეპისკოპოზი ტიმოთე, შთამომავლობით კრიტელი. ქრისტეს სარწმუნოებამ, დანერგულმან მოციქულის პავლესგან გაიდგა ამ კუნძულზედ ღრმა ძირი. პირველვე საუკუნეში ვპოულობთ აქ მრავალ ქალაქებში მწყემს მთავარებს. შემდგომ საუკუნებში აქაურნი მწყემს მთავრები და ქრისტიანები იყვნენ მრავალ გზის დევნული საზოგადო ქრისტიანობის მტრებისა და მწვალებლებისა

[*] სტადონი [ბერძნული სიტ.] ერთი სტადიონი ეთანასწორება 84 საჟენს.

საგან და მიიღებდნენ მონაწილეობას მსოფლიო კრებაებში. კანდიას ჰყაედა თავისი მოწამენი, წმიდანები და თავისი სწა-ვლულნი მამები, რომელთაგან განსაკუთრებით შესანიშნავი თავისი მწერლობით არის წმინდა ანდრია კრიტის არქიეპის-კოპოზი (ცხოვ. 680 წ.).

330 წელს, როცა კონსტანტინეპოლი შეიქმნა სახელმ-წიფოს დედაქალაქად, რომელიც იყო განყოფილი ოთხ პრეფექტურად, (სამთავარმართებლო). მაშინ კრიტი იყო მიწერილი ილირიის პრეფექტურასთან. ამ დროს კოსტან-ტინემ გადმოასახლა კრიტზედ იტალიიდგან კოლონიელები. 8 საუკუნის დასაწყისში, აბდულ—მელიქი ხალიფისდროს, არაბები დაესცემოდენ ხოლმე კრიტს, მაგრამ ამ დროს კუნძულმა, ანდრია კრიტელის მოწამებითა დაიცვა თავის თა-ვი წარმართთაგან. დასასრულ 8 საუკუნისა და დასაწყის საუკუნისა, გარუნალ რაშიდის დროს, არაბეთის ერისთავმა გალილელ—გამადანმა დაიპყრო კრიტის ნაწილი. შემდგომ რამდენიმე ხანისა (813 წ.) სარაცინებმა, რომლებიც წამოვიდნენ ისპანიდგან საბერძნეთის იმპერატორის მიხეილ — ზაიქის მეფობის დროს, გააოხრეს რა გზავრობის დროს სი-ცილია და ტიკლადიის კუნძულები, დაასრულეს კრიტის დამორჩილება და შეიქმნენ სრული მისი მფლობელები. მათ დააქციეს კნოსსი და გორთინი და აღაშენეს ეხლა-ნდელი კანდიის ქალაქის მახლობლად ახალი ქალაქი სახე-ლდებ რაბდელ—ხანდაკი, რომელიც დანიშნეს თავიანთ

პირველ სატახტო ქალაქად, ამ ახალი ქალაქისაგან მიიღო შემდგომ მთელმა კუნძულმა სახელი „კანდია“.

შემდგომ დიდი ხნის სარაცინების ბერძნებთან ბრძოლისა, კანდიის კუნძულიც რომელი 137 წ. განმაელობაში სარაცინებს გაჰყრან, წაართვა მათ ძრიელმა ნიკიფორე-ფოკიმ, ამ დროდგან კანდია შევიდა საბერძნეთის მეფეების მფლობელობაში. ბერძნებმა ნახეს, რომ კუნძულზედ დიდი ცვლილება მომხდარიყო სარაცინების დიდი ხნის მფლობელობისაგამო: ყველაზედ მეტი უბედურება დაეხწიათ კრიტელებს შესახებ სარწმუნოებისა, მართლ-მადიდებელი ტაძრები იყო შეცვლილი მეჩეთებად; ქრისტიანებს შიშის და ფიცხელი სასჯელისა გამო არ შეეძლოთ იმათ მფლობელობა თავიანთი სარწმუნოების აღსარებისა. ამ ნაირი ძალა დატანებით თან და თან იღებდნენ კანდიელები მუსულმანების სჯულს. ამ მდგომარეობაში იყვნენ კრიტიელები, როცა აქ მოვიდა ერთი ბერი აღმოსავლეთიდგან სახელდობ წმ. ნიკონი, რომელსაც უწოდებენ ახალი კრიტის მოციქულად. პირველად არამც თუ არ მიიღეს კანდიელებმა მისი ქადაგება, არამედ ბევრს უპატიოურობასაც ითმენდა მათგან; მაგრამ შემდგომ თავისი სიმშვიდით და ქადაგების ძალით, მან მალე მიიზიდა კრიტიელების გული, და ორის წლის განმაელობაში განდევნა კუნძულიდგან მუსულმანობა და აღადგინა ქრისტიანობა და მართლ-მადიდებელი ეკკლესიები.

ალექსი კომნენის დროს კრიტმა მოინდომა ვიზანტიის

მოშორება, მაგრამ, კვლავ ამავე იმპერატორის დროს დაუმორჩილდა იგი მისს მფლობელობას. როდესაც კონსტანტინეპოლი ჯვაროსანმა ლაშქარმა აიღო კრიტი, ბალდუინის განკარგულებით, სამთავროების განყოფის დროს, სხვათა ბონიფაცი გონფერატელს (1204წ.) რომელმანც მიჰყიდა იგი ვენეციის რესპუბლიკას 200,000 მაროკათ (*) ვერცხლად. შეიტყეს რა კუნძულის გაყიდვა გენუელებმა ხუთი ხომალდით და 23 ტრიგემებით, ვაჭრების მზგავსად, მიაღწნენ კრიტს, რომლის მცხოვრებლებმა მიიღეს იგინი სიყვარულით; მაშინ მათ დაიპყრეს კუნძული და შეუდგნენ მისს გამაგრებას თორმეტ ადგილას. მაგრამ ვენეციის დოჟმა დანდოლომ წაართო მათ კანდია 1206 წ. ექვსის წლის შემდგომ დოჟის პიეტრო-ზიანის დროს მოვიდა პირველი ვენეციელების კოლონია, მათ გაყვეს კუნძული 134 საკავალეროდ, რომელთაგან თვითეული იყო თითო ვენეციის აზნაურის მართველობაში. 1267წ. გენუელები ხელ მეორედ დაეცნენ კუნძულს და აიღეს კანდია. ვენეციიდგან გამოგზავნეს მაშინ გენერალი პროვედიტორი ,რომელმანც წაართო მათ ვანეია 1290წ.

კანდიელები მრავალ ჯერ აღუდგებოდნენ ხოლმე თავიანთ მბრძანებლებს. როცა ვარდა — კალერჯიმ დაიპყრა სელინოსის ციხე, ვენეციელებმა ბევრი ძალა იხმარეს მისს უკა-

(*) მარკა არის წონა; 55 მისხალზედ ცოტათი ნაკლებია.

ნვე დაბრუნებაზედ. ამ დროს იტალიიდგან გამოვიდ ახალი
ემიგრაცია, (*) მაგრამ ამან ვერ შესწყვიტა კრიტიელების
ალრეულობა. 1363წ. დოჟის ლორენცო-ჩელსის დროს
მათ მოინდომეს გენუელების ქვეშევრდომად შექმნილიყვნენ
და დიდი ცდით იყვნენ დამშვიდებულნი. პაპამ ურბან ალუ-
თქვა ინდულღენცია (*) ყველას, ვინც კი მიიღებდა მონაწი-
ლეობას ვენეციელების ჯარში პირის პირ აღდგომილთ კრი-
ტელებზედ. 1367 წლიდგან დაწყნარდა შფოთი კუნძულ-
ზედ. ვენეციიდგან იყო გაგზავნილი კომისია, რომელმანც
დაუყო სოფლები და სხვა ადგილები სალენო (*) სახმა-
რად 545 იტალიის გვარებს.

## 2

თუმც ვენციელების მფლობელობა დიდხანს გაგრძელდა კან-

---

[*] ემიგრაციას ეძახიან რომელიმე ქვეყნის მცხოვრებელთ გარდა-
სახლებას სხვა ქვეყანაში სხვა და სხვა გაჭირებისაგამო.

(*) მიტევება ცოდვათა. რომელსაც პაპები მიანიჭებდნენ ხოლმე
რომის საკათოლიკე ეკკლესიის ქრისტიანებს აღსრულებისათვის ზო-
გიერთთა მათგან პირობებთა.

[*] სალენი ეწოდებოდა ადგილ-მამულს, რომელსაც ჩვეულობდნენ გა-

დიის კუნძულზედ, მაგრამ კანდიელებს არ სურდათ და არც შეეძლოთ გაერთხალხებულიყვნენ ვენეციელებთან, რომლებიც ძრიელ ულუთოთ ექცეოდნენ კანდიელებს. რადგანაც მათი ქვეყანა, მისი ძვირფასნი მოსაგონარნი, შენობები და სარგებლობანი მათ სრულებით არ ენაღვლებოდათ. ადგილები მათვის იყვნენ ძვირფასნი მისთვის მხოლოდ, რომ მათ შეეძლოთ მათი ურთიერთ-შორის დანაწილება. ბერძნებმა დაკარგეს ყოველ ნაირი გავლენა კუნძულზედ; მოსამსახურე პირებს ყოველ მეორე-მეორე წელს გზავნიდა აქ ვენეციის სენატი. გარდა სამოქალაქო გავლენის დაკარგვისა, ბერძნებს ავიწროებდნენ აქ მესახებ თავიანთი სარწმუნოებისა. ვენეციელებმა აღაშენეს კანდიაში რომის-საკათოლიკო ტაძარი წმ. ტიტისა, დიდი მონასტერი და ამასთანავე დააწესეს რამოდენიმე ეპარხიები. იყო იმისთანა დროც, როცა ბერძნებს უკრძალავდნენ თავიანთ მღუთის მსახურების აღსრულებას. ყველა ამ მიზეზებმა განაძლიერა სიძულვილი შორის ბერძნებისა და ვენეციელებისა, და იმდენზედ მიაღწევინეს ბერძნებს რომ, როცა 15 საუკუნეში თათრებმა აიღეს კონსტანტინეპოლი, მაშინ კანდიის ბერძნებმა თათრების უღელს ქვეშ ყოფნა ამჯობინეს, ვიდრე ვენეციელებისა. ვენეციელებმა სა-

სსალები. ვასსალი ეწოდებოდა იმას, ვინც ჰფლობდა სხვის მამულს და აძლევდა ხარჯს ანუ გადასახადს თავის სუზარენს, ანუ მამულის პატრონს.

შიშარი მეზობლებისაგან დასაცველად დაუწყეს ქალაქებს გამაგრება, რომლის საჭიროება მართლადაც მალე დაინახეს: 1538 წ. ქერედინინი დაეცა კანეიას, აიღო ციხე მიაპატამა, ხოლო შემდგომ წელში დააქცია სელინოსი. 1571 წ. სულთანი სელინ 11-მ კანდიის ბერძნების შეგონებით რომლებიც იყვნენ გაჯავრებულნი ვენეციელებზედ, გამოვიდა ჯარით კუნძულზედ, ალაოხრა კანეის გარემემო ადგილები და დასწვა ლეტიმო.

ამ დროს კრიტის ცხოვრებლები ძრიელ შემცირდნენ, მრავალნი ბერძნების ჯალაბები, შევიწროებულნი ვენეციელებისგან გადასახლდნენ ეგვიპტეში. 1577 წ. 184,000 კაცამდის ითვლებოდნენ ბერძენი კუნძულზედ, რომელთაც, როგორც ამბობენ, მოაკლდათ ორი ნაწილი, უწინდელ რიცხვს, რომ შევადაროთ. გერენალმა პროვედიტორმა-ფოსკარინმა, რომელიც მოვიდა კანდიაში მახლობლად ამ დროისა სხვა და სხვა სიკეთებით შეაყენა კრიტეელების ემიგრაცია (გადასახლება) და რიცხვი კუნძულის მცხოვრებლებისა 17 საუკუნის ნახევარს ავიდა 260,000.

1645 წ. სულთანის ებრაჰიმ 1-ს დროს, დაიწყო კანდიაზედ შესანიშნავი ომი შორის თურქთა და ვენეციანებთა, რომელიც გაგრძელდა 25 წ. გარემე მიზეზი ამ ომისა იყო ის, რომ მალტიელებმა მახლობლად ვარპატოსისა შეიპყრეს თათრების ხომალდი, ხოლო შემდგომ ამისა დაებაოგნენ მახლობლად ერთ კანდიის ნავთსაყუდთან, გაამზადეს მათ

ახალი საგზალი და მიართვეს საჩუქარი კანდიაზედ მცხოვ-
რებთ ვენეციანების კომენდანტს. რადგან ვენეციანებმა არ
დაუშალეს მალტიელებს კანდიასთან გაჩერება, სულთანმა
გამოუცხადა მათ ომი, ხოლო 1645 წ. ძრიელი თათრე-
ბის ფლოტი (1) 74,000 ჯარებით და 50 გარემემო-
სადგომი საჭურველებით, იუსუფფაშის წინამძღოლო-
ლობით, მიადგნენ კანდიას. თათრებმა იწყეს კანდიაში შემოსვ-
ვა კანეიდგან და მალეც აიღეს იგი, ხოლო მეორე წელს
აიღეს რეტიმოც. რესპუბლიკამ სთხოვა შემწეობა ევროპის
სახელმწიფოებს, მაგრამ ამ დროს ევროპაში, ოცდა ათი
წლის, ომი იყო და ამისათვის მხოლოდ შემდგომ ვესტფ-
ალში მორიგებისა (ოკტომბერის თვეში 1648 წ.) შესაძლე-
ბელი იყო ვენეციის მოხმარება. აპრილში 1648 წ. თათრე-
ბმა იწყეს კანდიის ქალაქის შემოდგომა. სერდარ — ჰუსეინ-
ფაშამ დაიპყრა ორჯერ კირტი, მაგრამ აგვისტოს თვეში, იგი
გამოაბრუნეს უკან; მეორე წლის აგვისტოში თათრებმა ხელა-
ხლა სცადეს თავისი ძალა, მაგრამ ვერც მაშინ გაიმარჯვეს.
ამ დროს თათრების ჯარში მოხდა არეულობა; რამოდენიმე
პოლკი ჯარი, რომელთაც შეადგენდნენ წარმართნი გაიქცნენ
კონსტანტინეპოლში, და ჰუსეი ფაშას დარჩა მხოლოდ
10,100 კაცი. ვენეციანებს, რომლებმაც მიიღეს შემწეობა
ევროპიიდგან 1,000 კაცით, ყავდათ აგრეთვე 10,000 კა-
ცამდის. ვენეციანებმა სთხოვეს აგრეთვე შემწეობა რუსებსაც,
ალექსი მიხაილის ძის მეფის დროს, მაგრამ რადგანაც მაშინ

რუსებმა გაათავეს ომი პოლშელებთან და დაიწყეს შვეცი-
ასთან, ამისათვის უარი უყვეს. რესპუბლიკამ თუმცა ვერ
მიიღო შემწეობა რუსებთაგან, მაგრამ ნაცვლად ნახა მან
სიმაგრე ჯარებში, რომლებიც გამოუგზავნეს მათ პაპამ,
ფრანციამ და მალტამ. **1660** წ. აგვისტოს თვეში ვენე-
ციანები თავიანთის მეკავშირებით, პრინცის დესტის წინამძღ-
ომელობით გამოვიდნენ კუნძულზედ, წაართვეს თათრებს
ერთი ფორტი და ემზადებოდნენ კანეის აღებას. მაგრამ ამ
დროს მოეშველა კანეიას სერდარ-კატირჯოღლი, ხოლო დესტა
იძულებულ იყო გაბრუნებულიყო გემებზედ. კანდიას გარნი-
ზონმა, დაინახ რა რომ სერდარი მოშორდა კანეიას, უნდო-
და ესარგებლებინა თათრების ჯარების შემცირებით, მაგრამ
იქმნა ძლეულ და დაკარგა **1,500** კაცი. შემდგომ თემესვა-
რის მორიგებისა (**1667**წ), რომლითაც გათავდა ომი შო-
რის თათრებისა და ავსტრიისა, თათრებს შეეძლოთ მოექ-
ციათ მომეტებული ძალა კუნძულზედ, რომელიც იყო გა-
რე შამოდგომილი მტერთაგან. მაისში **1667**წ. დიდმა ვეზი-
რმა ეგვიპტის ახმეტფაშითურთ მიმართეს ქალაქს კანდიას
**78,000** კაცით. ეს ჯარი იყო გაყოფილი სამ ნაწილად და
უნდა ემოქმედნა ერთს და იმავე დროს სამი მხრით; თათ-
რებმა მიუმართეს კანდიას **55** ზარბაზნები და **11** მარტი-
რი (*), მაგრამ რადგანაც ვერა რას გახდნენ ამითი, თათრე-

(*) კარტეჩის მსგავსი ზარბაზნები.

ბმა გააძლიერეს ომი მიწის ქვეშ, — მათ გაუჩინეს ცეცხლი 162 გამოთხრილ ადგილებში, მაგრამ შემოსეულებმაც მიუვეს მათ ამ გვარათვე: მათ გაუჩინეს ცეცხლი 153 გამოთხრილ ადგილებში. თუმც ძრიელ სცდილობდნენ ორნივე მხარენი, მაგრამ ვერც ერთი ვერა გახთა რა, ჯარს კი თან და თან აკლდებოდა. 1667 წ. თათრებმა 8 თვის განმავლობაში დაკარგეს 20,000 კაცი, გარშემოდგომილებმა კი 7,000 კაცი, გარდა 20,000 დედაკაცებისა და ყმაწვილებისა, რომელებიც ეშველებოდნენ მათ მიწის თხრაში. მეორეს 1668 წ. ვილანუევის ნაცვლად, რომელიც მთავრობამ დაიბარა უკან, მთავარმართებლად დანიშნეს მარკიზ დიუპუი.

1668 წ. 28 აგვისტოს თათრებმა დაანგრიეს მიწაში ცეცხლის გაჩენით კედელი ერთის კოშკისა (ციხე) მიცვიდნე შესასვლელათ, მაგრამ გაბრუნეს უკანვე დიდის დაკარგვით. რიცხვი მამაცურად კანდის მცველთა შემცირდა, ამ დროს 5,000 კაცი, მერმე მათ მალე მოეშველნენ; — მოვიდნენ თანამემწენი ჯარები, გამოგზავნილები ლოტარინგის გერცოგისაგან, ფრანციელების რაინდები გერცოგი დებიუსონითურთ და 300 მალტის რაინდები, კანდიელებმა გაიხარეს დიდად როცა მიიღეს ეგრეთი შემწეობა, დაიწყეს გამოსვლა მტერებისა და რაოდენჯერმე დააწევინეს მათ უკან, მაგრამ ეს გამარჯვება იყო ხანი მოკლე. მაისში 1669 წ. თათრებმა აიღეს ფრიად საჭირო კანდიელებისთვის წმ. ანდრიას ბასტიონი

(კედელზედ აყვანილი ციხე). დიდ ფიქრში ჩავარდნენ გმირები, მაგრამ მათდა მოსამეელებელად გამოვიდა ფრანგების ფლოტი 6,000 კაცით, რომელთაც ერის თავად ყავდათ გერცოგი დე-დალი; ივლისის დამდეგომს მოვიდა კიდევ ესკადრა, რომელსაც შეადგენდნენ 7 პაპის, 15 ფრანცუზების და 7 მალტიელების გემები. 24 ივლის 80 გემებმა დაჰკრეს და დაცვეს ნახევარი მხარე, როდესაც კანდიელები აპირებდნენ მტრების გამორეკას ციხისაგან, მაგრამ მოხთა უბედურება: ერთი ფრანგების გემი შეაგდო ჰაერში თოფის წამლის ცეცხლმა და მოიყვანა უწესოებაში მთელი ფლოტი, ამისათვის გამოსვლა აღარ მოამხდარა. ფრანციელებმა მას შემდეგ რამოდენჯელმე გამოუცვირდნენ მტრებს, მაგრამ დაითმინეს მარცხი, მათი რიცხვი შემცირდა 2,500 კაცი და აგვისტოს გასრულს მათ დასტოვეს კანდია და წავიდნენ საფრანგეთში. როდესაც კანდიის გარნიზონს თანდათან აკლდებოდა, როდესაც სიმაგრები უმეტესი ნაწილი იყო დანგრეული და აღარ შეიძლებოდა მიტად დამაგრება, მაშინ სიზოგ დო რჩევამ გადაიწყვიტა დაეწყოთ მოლაპარაკება თათრებთან გარიგებაზედ. 28 სეკტემბერს კანდიელებმ დაუთმეს ქალაქი და კუნძული დიდი ვეზირს. გარიგებაში ვენეციას დარჩა მხოლოდ შემდეგნი პორტები: (*) კარაბუზა,

---

(*) ქარისა და ღელვისაგან დაცული უბე (ЗАЛИВЪ) სადაც დაიბარგებენ ხოლმე ხომალდები.

ზუდა და სპინა-ლონგა. მთელ ხანს რაც ეს ომი გაგრძელდა, რომელიც არის შესანიშნავი თვისის გრძელხანობით და კუნძულის მცხოვრებლების მამაცობით, თათრები მიუხტნენ მათ 56 ჯერ და დჰკარგეს 120,000 კაცი, და სამი ციხეც კუნძულზედ დროების განმავლობაში გადვიდა ვენეციანებიდგან თათრების ხელში სხვა და სხვა მიზეზებისაგამო.

თათრების უღელმა, რომლითაც შეიცვალა ვენეციანების მფლობელობა კუნძულზედ, გადიტანა კანდიელები ცეცხლისაგან არმულში. ყველა ქრისტიანს ვისაც კი შეეძლო საჭურველის ალება დაადვეს გადასახადი ხარჯი. ამასთანავე ქრისტიანებს არ აძლევდნენ ადგილს არა ვითარ სამსახურში, თითქმის ჯარშიაც არ იღებდნენ, ვინც არ მიიღებდა მუსურმანის სარწმუნოებას. კუნძული იყო შინდობილი სამი ფაშის მართველობაში: კანდიაში, რეტიმოში და კანეაში; სამართველოშა თვითეულს მათგანს ქონდა მინიჭებული ნება სიკვდილის და სიცოცხლისა მცხოვრებლებზედ. ადვილი მისახდომია თუ რა რიგი შევიწროება უნდა გამოეცადათ უბედურ ბერძნებს: მათ არ შეეძლოთ შეერაცხათ თავის თავი უშიშარ მეპატრონედ თავისთავის ქონებისა; მათ სახლეულობას არაფერი არ ქონდა უზრუნველი, არც ერთს ბერძენს არ შეეძლო შეერთო ცოლი ალის ნება დაურთველად, რომელი (ნება) უნდა ეყიდნა მას, ანუ ფულით და ანუ საჩუქარით. თათრების ბიწიერების მოყვარეობისგამო ხშირათ

მოხთებოდა ხოლმე ქრისტიანების ოჯახებში შემარყეველნი
სცენები. ტურიფორი, რომელიც იყო კანდიაში წარსრულის
საუკუნის დასაწყისში, ინბობს, რომ თათრებმა მოიგონეს კან-
დიკში მეჩეთის აღშენებაო და მორეკეს მახლობელი სოფ-
ლებიდგან მრავალი ბერძნები სამუშაოდ; მათ უფრო ბევრს
ჯოხებს უთავზებდნენო, ანბობს იგი, ვიდრე პურის ნატე-
ხებსო. სარწმუნოებრივი მდგომარეობა ბერძნებისა იყო აგ-
რეთვე ფრიად სამწუხარო, მათ აღუკრძალვიდნენ ეკკლესიების
და მონასტრების გაკეთებას და ზარების რეკას, უკეთუ არ
იყიდდნენ ნებას დიდის ფულით ფაშისაგან. 1779 წ.
ეპისკოპოზი შეუდგა ცხენზედ და უნდოდა დაევლო თავის საე-
პარხიო სხვა და სხვა მოთხოვნილებისაგამო; თათრების
მცხოვრებლებმა მიქმნეს ყვირილი და უნდოდათ მისი და-
წვა. ფაშამ გადაარჩინა იგი ამ გვარი სიკვდილისაგან მაშინ,
რომ გამოსცა ბრძანება, რომლითაც ბერძნებს აღუკრძალა
შემდგომში კანდიაში ცხოვრება. მაგრამ ორი თვის უკან
ბერძნებმა მიართვეს ფაშას დიდ ძალი ფული და მან შეს-
ცვალა თავისი უწინდელი ბრძანება.

ამნაირ შევიწროებას ქონდა ის შედეგი, რომ ბერძნებმა
დაიწყეს თათრების სარწმუნოების მიღება ძრიელ ადრე.
არის მოწმობა, რომ ვითომც შემდგომ თათრებისაგან
კუნძულის აღებისა, 100,000 ბერძნებთაგან, რომლე-
ბიც ვალდებულნი იყვნენ ხარჯის ძლევისა, 60,000 კა-
ცმა შესცვალეს სჯული. მაგრამ ამგვარი სჯულის შეც-

ცლას, რომელიც მოხთა მოთმინების ნაკლულევანებისა-გამო და არა რწმუნების ძალით, არ შეეძლო მოეკლა მათში თესლი ქრისტეს სარწმუნოებისა, რომელსაც ღრმად ქონდა გადგმული ფესვები მათ სულიერ ბუნებაში; ეს ახალი მოქცეული კანდის მუსულმანები, ამბობს ერთი მოგზაური, ემზგავსებოდნენ მხოლოდ ტანისამოსს გამოცვლილ ბერძნებსო.

## 3

უკანასკნელ მოაღწია იმ დრომ, როცა ბერძნებმა აღმართეს ნიშანი თავისუფლებისა. 1821წ. როცა გამოვიდა ხმა ჰელლეთის საბერძნეთის აღდგომისა და მავროკორდატის, იპსილანტის, კოლოკოტრონის, ბოცარის და სხვათა გამარჯვებაზედ, სიხარულით აღივსნენ კანდიელები. მაშინ მუსულმანებმა ჩვეულებისა მებრ, გასცეს ბრძანება მათს დახოცვასა; კისამოსის მღვდელ-მთავარი წაიყვანეს კანეიაში და ჩაგდეს საწვალებლად მძვინვარე თათრების ხელში, რომელთაც შიშველი ათრიეს ქალაქში წვერით, ხოლო შემდგომ ჩამოახრჩვეს. სკოფიელები შეიქმნენ საძირკველი აღდგომისა. შემდგომ პირველი მათი თათრებთან შეტაკებისა მუსულმანე-

ბმა 30 იენისს მიიღეს ფაშისაგან ნება, რომ ამოეწყვიტათ განურჩევლად ყველა ბერძნები. იენისში დასწვეს მათ ოცი სოფელი და რამოდენიმე მონასტრები, დედაკაცებს აუპატიურებდნენ და მიდიოდნენ. ამავე დროს სფაკიელები დაებარგნენ მალაკში და ალმიროში, რომ როგორმე მოეკვეთათ თათრებთ შორის მისვლა-მოსვლა. აღვისტოში, თუმც ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ ფაკიელები, მაგრამ მაინც ფაშამ შეატანა მთებში. მას სურდა დაბარგებულიყო ასკიფში, მაგრამ სხვა მისი ჯარები, რომლებიც მიდიოდნენ მასთან შესაერთებლად დაამარცხეს ბერძნებმა ერთ ვიწრო გზაში, რომელიც მათ უნდა გაევლოთ; გაქცეულ თათრებს გამოედევნენ ყოველი მხრით, 900 კაცი მოკლეს, დაატოვებინეს მრავალნი ჯორები, დატვირთულნი საგძლებით და აგრეთვე სამი ზარბზანი. თათრებიც თავიანთი მხრით ფიცხად ექცეოდნენ ქრისტიანებს. ქ. კანდიაში მიტროპოლიტი, ხუთი ეპისკოპოზი, ოთხი მღვდელი და სამოც და ათამდის ქრისტიანები დაკლეს თათრებმა სამსხვერპლოს (ტრაპეზის) წინ სასობოროს ეკლესიაში, სადაც ისინი დაიმალნენ. შემდგომ რამოდენიმე სათისა ულუთოთ დახოცეს მათ აგრეთვე 600 კაცი. მეორე დღეს ამოდენივე უიარაღო ქრისტიანები დახოცეს მახლობელ ოკრუგებში: პედიდში, თემუშოში და მალევიზში. ამგვარმა ფიცხლად კიდებამ, ნაცვლად დაწყნარებისა უმეტესად განაძლიერა ხალხის აღდგომა, და სანამ ერთი წელიწადი გავიდოდა, ქრისტიანებმა განაძევეს სოფლებისაგან თათრები, რო-

მლებიც იძულებულ იყვნენ დამალულიყვნენ ზღვის პირის სიმაგრებში (ციხეებში).

1922 წ. ეგვიპტის ვიცე-კაროლმა გაგზავნა კანდიაში 7,000 კაცი — არნაუტელნი ანუ ალბანცები ხასან ფაშის წინამძღომელობით, რომელმანც დაამშვიდა ქალაქები, მაგრამ მის მალე სიკუდილისა გამო თათრებმა ვერ მოიყვანეს ალსრულებაში თავიანთი დაწყებული საქმე. საქმე მხოლოდ იმათი გათავდა, რომ თათრებმა მოაოხრეს და დააქციეს ქრისტიანების სოფლები, დაკაფეს და დასწვეს მამულები (ვენახები) და ზეთის ხილის ხეები, იტაცებდნენ პურს და ჯოგს. მაგრამ ქრისტიანებიც ამ გვარათვე უხთოდნენ თათრებს სამაგიეროს, მოაოხრებდნენ იმათ კუთვნილებას თითქმის ქალაქების კედლებამდის· კანდიელებს წინა უძღოდათ, სხვათა შორის ერთი მამაცი ფრანცუზი ბალესტი, რომელმანც პირველად შეადგინა ბერძნებისაგან დაწყობილი ჯარები; იგი მოვიდა მორეიდგან კანდიაში და მიიღო მთავრობა კანდიელების ბანდებისა (бандали). მაგრამ იენისში 1822 წ. იგი გახთა მსხვერპლი ერთი გამცემლის კომენეთი აფენდულისა, რომელსა უნდოდა ცბიერებით გარდაეცა კანდიის საქმე იზმაილფაშისათვის, მეხმეტ-ალიის მოადგილისა, ეგვიპტის ვიცეკაროლისათვის. კომეთი გახდა ისურგენტების თავი, მაგრამ მისი ბოროტი განზრახულება დროზედ გაიგეს, და კანდიელების წინამძღომელობა მიიღო მამაცმა მ ნუელ—ტამბაზმა, რომელიც იყო იდრის კუნძულიდგან. 1820 წ.

მან დაიბარა კისამოსში, მაგრამ როცა 1824 წ, კანდიის ნაპირებთან გამოჩნდა ეგვიპტის ფლოტი, რომელსაც მართავდა ისმაილ გიბრალტარი, რომელმანაც გამოსვა კუნძულზედ დიდ ძალი ამალი, წინამძღომელი მათი მუსაკ ბეგი დაეცა კანდიელებს ამურგელთან, მოერია მათ და შავიდა მუა კუნძულში, ამარჩილებდა რა მცხოვრებს საჭურეველისა და ცეცხლისა ალით კრიტი აიღეს, მაგრამ მისი მფლობელობა მხოლოდ მაშინ იყო საიმედო, უკეთუ ეგვიპტელები მოასწრებდნენ კაზის კუნძულის აღებას, და ესეცა მათ მართლაც აღასრულეს იმავე წლის იკნისის თვეში. შემდგომ ამისა თავი მართველი ეგვიპტის ჯარებისა, იბრაგიმფაშამ, მაგომეტ-ალის შვილი ადვილად რაცხდა სხვა კუნძულების და სრულიად მორეის აღებას, მაგრამ შემდგომ ორჯელ ომისა ბერძენის ფლოტთან ბუღუნის მახლობლად იძულებულ იყო დაენებინა ჯერ ჯერობით თავი თავისის განზრახულებისათვს და წასულიყო კანდიაში. მესარაში აღდგომილების თავი იყვნენ კუნმულდები, რომელთაც 1821 წ. გამოაშკარავეს თავიანთი მოქმედება; მუსულმანებმა, გაჯავრებულებმა მით, რომ თითქმის ორის საუკუნის განმავლობაში იყვნენ მათგან მოტყვილებულნი, გარისხდნენ მათზედ. ვაკე ადგილებზედ თავის დაცვა ბერძნებისათვს იყო შეუძლებელი; 64 ჯალაბს ყოველი მხრით მამოესიეს მუსულმანები, და მხოლოდ ორი თუ სამი სახლეულება ძლივს გადურჩა სიკვდილს, რომელნიც გაიქცნენ მორეიაში. იბრაგიმ ფაშამ გაგზავნა ათასი სუ-

ლი ქრისტიანები კუნძულიდგან. სხვებმაც კი მოთარეშებულებმა დაიწყეს ხელახლა სოფლების აკეთება იმ პირობით, რომ მათთვის ეპატიებიათ დანაშაულობა.

შემდეგომ წლის ომსა, რომელი მოხთა ნავარინთან (8 ოკტომბერს 1827 წ.) ბერძნებმა დაიჭირეს გრაბუზი და გახადეს იგი სამხედრო მოქმედებაების შუა ადგილად (централъ). თათრებმა იწყეს ხელახლა თავისი მტარვალობა, მაგრამ ალდგომა გაძლიერდა უმეტესად და თათრები ხელახლა გაიქცნენ სოფლებიდგან გამაგრებულ ადგილებში. 8 მარტს 1828 წ. საბერძნეთის პრეზიდენტი, კაპოდისტრია შამოადგა კუნძულს. მაშინ შინაგანმა ბრძოლამ კუნძულზედ მიიღო იგრეთი ხასიათი, რომ სისხლის ღვრა მომეტებულად გახშირდა, ამისთვის რომ მუსულმანები ცხადათ ხედავდნენ, რომ მათ დარჩათ ორიღა საშვალება, — ან უნდა დაეტოვებინათ კუნძული და ანუ უნდა შიმშილით დახოცილიყვნენ ქალაქებში, რომლებიც ვერ აიღეს ქრისტიანებმა. ხოცვა იყო განსაკუთრებით გაცხარებული ქ. კანდიაში. კანეის ფაშამ მუსტაფამ გადიარა მთა და აიღო ციხე ფრანკო, მაგრამ როცა უკან გაბრუნდა, იქმნა ძლეული და დაკარგა ნაწილი თავისი ცხენოსანი ჯარისა.

ამ დროს სამმა მოკავშირე სახელმწიფოებმა რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა ივნისში 1827 წ. შეკრეს პირობა და გადასწყვიტეს, რომ ერთი ხმით ეშუამდგომლებიათ წინაშე

პორტისა (*), რომ მას დაეცხრო ბრძოლა ბერძნებთან. ამ პირობის ძალით პორტას უნდა დაეცა თავისი უმაღლესი მთავრობა საბერძნეთში, მაგრამ უნდა მიენიჭებია მისთვის თავისუფლობა შესახებ ქრისტ. სარწმუნოებისა ალვიარებისა, ალებ-მიცემისა, მართეელობისა და სხვ. ტურციის კაბინეტმა არ მიილო ეს შუამდგომლობა და ამას შეუდგა ბლოკადა (*) საბერძნეთის სამთავროებისა და კუნძულებისა თვინიერ სამოსისა და კრიტისა, და ნავარინის ბრძოლა. რადგანაც პორტმა არც შემდგომ ამისა არ მიილო პატივდებაში შეკავშირების რჩევა, ამათმა ელჩებმა დასტოვეს კონსტანტინეპოლი, და 14 აპრილს 1828 წ. რუსეთმა გამოუცხადა ტურციას ომი, რომელიც მოქმედებდა დიდის წარმატებით კორპუსი, და იბრაგიმ ფაშას მეტი გზა არ ქონდა უნდა გაქცეულიყო იქიდგან. კაპოდისტრი ითხოვდა, რომ ფრანგების ფლოტს მიეღო მონაწილეობა ექსპედიციაში წინააღმდეგ კრიტისა, მაგრამ ანგლია არ გახთა ამაზედ თანახმა, მიანდო რა იქ მოქმედება მხოლოდ ბერძნების ფლოტს.

რუსების ჯარების წარმატებამ, რომლებიც თვისის ჩქარის და მტკიცის მოქმედებით ძრიელ განირჩეოდნენ მეკავშირებისგან, აღძრა ლონდონის კაბინეტში შური, რომელმანც მიიმხრო საფრანგეთი და ურჩია მიეღო ყოველი გვარი ზომა

(*) პორტა ქვიან ტურციის სულთანის სასახლეს.

(*) ბლოკადა (ფრანცუზული სიტყვაა) ნიშნავს მტერის შამოდგომას ანუ შამოხვევას.

და გაეთავებია საბერძნეთის საქმე მანამდისინ, სანამ გათავდებოდა რუსეთის ომი პორტასთან. ლონდონში დანიშნეს კონფერენციები, რომლებშიდაც გადასწყვიტეს აღედგინათ ახალი საბერძნეთის სახელმწიფო, რომლის შინაგან მართველობაში თათრები არ უნდა შეხებოდნენ; ამ სახელმწიფოს სამძღვრად იყო დანიშნული სამხრეთით ლარივოდის ყურესაგან დაწყებული არტის ყურემდის. ამ პირობის პროტოკოლს მოაწერეს ხელი სამი სახელმწიფოს აღმორჩეულმა პირებმა 22 მარტს 1829 წ. პორტა, როცა აიღეს ადრიანოპოლი მაშინ კი დათანხმდა. შემდგომ ადრიანოპოლში გარიგებისა (2 სეკტემბერს 1829 წ.) გადასწყვიტეს ეცნათ საბერძნეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ, მაგრამ ამასთანავე ანგლიამ, თავის უშიშროებისათვის, სახელდობ რომ საბერძნეთის მეზობლობა იონიის კუნძულებით არ ყოფილიყო მისთვის საშიშარი, მოითხოვა რომ შეეცვალათ 22 მარტის პროტოკოლი შესახებ საბერძნეთის სახელმწიფოს სამძღვრებისა. განაჩინეს გაევლოთ სწორე ლარი სამხრეთის მხრისკენ აქელოოსის ნაპირიდგან სპერხის ნაპირამდის, ესე იგი უნდა დაეთმო სულთანისათვის მთელი აკარნანი და დიდ ძალი ნაწილი ეტოლიისა, ამასთანავე უნდა დაეტოვებინათ მათ მფლობელობაში კრიტი და სამოსი, საბერძნეთის კაროლად აღმოარჩიეს ლეოპოლდი, საქსონკობურგელი. ამ რიგი განჩინების პროტოკოლს მოაწერეს ხელი 3 მაისს 1830 წ. ეგრეთ უწყალოდ იყვნენ მოტყუებულნი საწყალნი კანდიელები, რომლებიც ეგრეთ გულ-

ლად მონაწილეობას იღებდნენ ბერძნების განთავისუფლე-
ბაში, და რომლითაც გაბედვით გამოაცხადეს თავიანთი წყუ-
რვილი, რომ ზედ მიეწერათ ახალი ბერძნების სახელმწიფო-
სათვის· საბერძნეთის სენატმა მიართვა ახალ აღმორჩეულ
კაროლს ადრესი, რომელშიდაც ბერძნები ძრელ ეწინააღმ-
დეგებოდნენ სამძღვრების დანიშვნას, რომელთაც უჩვენებდა
**3** თებერვლის პროტოკოლი და თხოულობდნენ, რომ კრი-
ტი და სამოხი შეერთებინათ საბერძნეთთან. თუმცა ლეო-
პოლდმა სრულად თანა უგრძნო ამ სამართლად მოთხო-
ვნილებას, მაგრამ მან ვერ შაიძლო იმდენი, რომ პრო-
ტოკოლი შეეცვლევინებინა, ყოველი საქმე გათავდა მხოლოდ
იმითი, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა **30** აპრილს გა-
დაცეს პორტას ერთნაირი ნოტი შემდეგი შინაარსით: ძალ-
საგამო პირობაებისა, დადებულთა ჩვენ შორის ერთმანეთის
თანხმობით, ჩვენ ვალად ვრაცხთ თავისუფალ ვყოთ კან-
და სამოსის მცხოვრებნი ყოველ გვარ რეაქციისაგან
მიზეზით, რომ ისინი იღებდნენ მონაწილეობას [illegible]
საქმეში, ითხოვდნენ რა პორტასაგან, რომ ეს უზრუნველ-
ყოფობა ყოფილიყო მისი მხრით დამტკიცებული [illegible]
კანონებით, რომელთაც აღედგინათ ძველი [illegible]
სობა მცხოვრებლებისა, და მიენიჭებია ადგილობითი მკვი-
ვრებლებისათვის იგრეთი თავისუფლობა, რომელთაც და
იგინი ყოველ შემავიწროებელთ ზომათაგან.

თუმცა თანახმა გახდა პორტა ამ ნოტის მიღებას

მაგამ მან გამოაჩინა სრული თვისი უკმაყოფილება ეგრეთი მოთხოვნილებისათვის მოკავშირე სახელმწიფოების მხრით, მან დაუთმო კანდიბ ეგვიპტის ვიცეკაროლს საჩუქრად, ვითომც ერთგული მოხმარებისათვის ომებში ბერძნებთან. კრიტის კრისტიანებმა სიმწუხარით მიიღეს გადაწყვეტილება კუნძულის ეგიპტესთან შეერთებაზედ; მათ სჩქაროთ შეკრიბეს გემები აულში, მაგრამ ამ დროს მოულოდნელად გამოჩნდა იქ ეგიპტის ესკადრა; ბერძნები შეშინდნენ და ძალით დაუმორჩილდნენ ახალ უღელს. კუნძულზედ გამოვიდა ოსმან-ნურადინბეი ორი ეგიპტის პოლკით და შემდგომ რამოდენიმე თვისა კანდია მოიყვანეს ახალი მთავრობის მორჩილებაში.

შემდგომ თათრებისაგან აღებისა 16 საუკუნეში, კრიტი იყო გაყოფილი სამ საფაშოთ. მაღომეტ-ალიმ შეაერთა იგინი ერთად და დანიშნა გუბერნატრად იქ ერთი თვის ნათესავებთაგან ალბანელი სახელდობ მუსტაფა-ფაშა, რომელიც თავის ბიძითთურთ ხმარობდა ყოველ ნაირ ზომას კუნძულის მცხოვრებლების წინააღმდეგ და იყო საშიშარ არა თუ მარტო ქრისტიანებისათვის, არამედ თათრებისათვისაც. ყველა კრიტელები სარწმუნოების გაურჩევლად ნებით თუ უნებურათ იყვნენ იარაღ ახდილნი; მრავალნი ქრისტიანებთაგანნი გაიქცნენ მორეიაში და ციკლადებზე. დაწესებული იყო ორი რჩევა, რომლებშიდაც ქონდათ მონაწილეობა როგორც ქრისტიანებს, იგრეთვე თათრებს, ასინი იყვნენ დანიშნული კანდიაში და კანეიაში. ამათ გარდა ორი სხვა

რჩევა იყვნენ დანიშნულნი რეტიმაში და სფაკიაში და ჰქონდათ აპელაციური დანიშნულება. ზუდში დააწესეს საავათმყოფო (ლაზარეთი) და მიანდვეს დოკტორს კაპოლარის. თვს განგებულებით მუსტაფა-ფაშამ სრულებით დაამტკიცა, რომ ის მზათ იყო მიებაძა თავისი შესანიშნავი ნათესავისათვის; თავისი დიდი ხნის გუბერნატრობის დროს, გამოუთქმელის სახით სწოვდა კუნძულის სიმდიდრეს. მხოლოდ ერთი კონფისკაციებიდგან, რომლებიც მან მოახდინა, მიიღო მან ხუთ მილიონამდის დრახმი (*). მისგან ძალა დატანება, შევიწროება და ცარცვა, აქნამომდეს ცხადათ ახსოვთ კუნძულზედ. ყველაზედ უფრო საკვირველი საქმე ის არის, რომ მას თუმცა უმაღლესი მართებლობის თანამდებობა ეჭირა, მაგრამ მაინც აწარმოებდა ალებ მიცემას, რომელშიდაც რასაკვირველია ვერავინ ვერ მიეტოლებოდა.

კანდიელების შავი ბედი შეიცვალა მალე კიდევ უფრო ცუდათ ვიცეკაროლის ახალი ცუდი განკარგულებისა გამო; **1832** წ. შემთხვევისაგამო მისის ომისა პორტასთან, მაღომეტ-ალიმ დაადვა ახალი გადასახადი მიწის მუშებს, დასდვა ღვინისა და თამბაქოს გაყიდვა პოდრატით ქალაქებში, ფიქრობდა აგრეთვე დაეწესებინა მონოპოლია (*) ზეთზედ და

[*] დრახმა ეთანასწორება **24** ნახევარ კაპეიკს ვერცხლის ფულს.

(*) მონოპოლია ქვია ვაჭრობას, რომელიც არის საკუთრად ერთის ანუ რამოდენიმე პირების ხელში.

საპონზედ. ამათგამო კრიტის მცხოვრებლები კიდევ უფრო დაღონდენ. 1833 წ. როცა მაღომეტ-ალი იყო კანდიაში, მან გამოაცხადა, რომ მზათ არის მოისმინოს მცხოვრებლების საჩივარი ხარჯის სიდიდეზედ, დაუთმენელი ჯოხების ცემაზედ და არნაუტებისაგან შევიწროებაზედ; მაგრამ არ მიაწევინა საქმეს ამდენზედ და წარუდგინა მას ბერძნების სახელზედ ადრესი, რომელშიდაც იყო გამოცხადებული ვითომც მათი სრული კმაყოფილება მართებლობაზედ· მაღომეტ—ალიმ გაათია კუნძულზედ რამოდენიმე ხანი და წასვლის დროს გამოსცა ბრძანება შესახებ ადგილების კარგათ შემუშავებისა, რომელსაც ის მედეგი მოჰყვა, რომ უმეტესი ნაწილი საუკეთესო ადგილებისა წაართვეს მცხოვრებლებს და შერაცხეს სახელმწიფოდ. ამ ბრძანების გამოცხადების დროს ერთი სოფლის მცხოვრებნი—კრიტელნი გამოვიდნენ მოთმინებიდგან და მიართვეს საჩივარი საფრანგეთის, ინგლისის და რუსეთის კონსულებს, ამასთანავე შეიკრიბნენ კანეიასთან და უარი უყვეს ხარჯის გადახდისა. კანდიიდგან წავიდა მათთან მუსტაფ-ფაშა, და რა დაინახა, რომ მისს სიტყვებს არ ერწმუნენ, დაიცადა თუ რითი გათავდებოდა საქმე; მაგრამ ხალხი შეშინდა და დაიშალა, ხოლო რამოდენიმე კაცის დატუსაღებამ სრულებით მოუღო ბოლო კრებას. როდესაც მიუვიდა ამაზედ უწყება, მაღომეტ—ალიმ გამოგზავნა კანდიაში ოსმან ფაშა ფლოტით და ფიცხელი ბრძანებით. ორმოცამდის კრიტელები მიაყრეს, სადაც კი შეხვდათ და ჩამოახჩვეს, ორი მიჩევე-

ლი (СОВѢТНИКЪ) სამჯავროსი, კანდიაშია და კანეიაში შაიპყრეს და დაატუსაღეს გაზბურგში; მთელი კუნძული იყო საშიშარ მდგომარეობაში. უკმაყოფილოთა საჩივრები იყვნე დათრგუნვილნი შემწყნარებელთ ძალით. მაღომეტ—ალი იყო კანდიაში კიდევ 1837 წ; ქრისტიანებმა მიართვეს მას მრავალნი საჩივრები და გამოუცხადეს რომ მათ სურთ ეგრეთვე მართებლობა, როგორიც არსებობდა საბერძნეთში; მაშინ მან ურჩია მათ შეეცვალათ ხარჯი მოძრავი ქონებისაგან გადახდით. მაგრამ ისინი არ დათანხმდნენ ამაზედ 1838 წ. ვიცე კაროლმა უბრძანა ხელახლა გააუკეთესებინათ წყლის მილები, რომლებითაც ჰქონდათ წყალი კანდიაში; ეს მუშაობა ღირდა 500,000 პიასტრად (28,000 მანეთად). ბრძანა აგრეთვე გაკეთება სიმაგრეებისა და გაუმჯობესობა მაღაზიისა და გზებისა, რომელიც იყო ახალი ტვირთი კანდიელებისათვის.

(დანარჩენი შემდეგ ნომერში იქნება).

## სატრფოს საფლავზე.

კეთილთ წიაღსა განისვენე შენ სატრფოვ ჩემო,
რა განეშორე ამა სოფლის ამოებასა;
განისვენე და განიხილე შენ მისი გემო,
სად ვერ ვინ ჰპოებს ტანჯვას, ზრუნვას, ამბოხებასა.

შენ განისვენე,-მე მარტო ოდენ შენ საღრმთო გვამსა
მოვრწყამ მარად დღე მეგობრულის ცხარე ცრემლითა,
სადღა ვიხილავ ნეტარების იმ გამქრალ ჟამსა,
ოდეს ვსტკბებოდით მე შენით და, შენცა ჩემითა.

ოჰ, რა სისწრაფით იმ საამო დრომ გაიარა,
ოდეს ღიმილით შემოგვმღერდა ბედნიერება,
რომლისა სხივმა დასავლეთსა რა დაიხარა,
შემრჩა მხოლოდღა სამწუხარო აწ მოგონება.

ერთოდენ წამი, განქრი სწრაფათა ვით მეტეორი,
ფიქრშიგან შემრჩი ვით საამო ღამის ზმანება,
და ეს ზმანება, ჭეშმარიტი, მართალი, სწორი,
არის ამქვეყნის, გულის მწყვლელი: ამაოება.

ი. კერესელიძე.

ს. ბოგვში.

1868, ივნისის 14.

## გიორგი მეათცამეტე

„პირობაები მეფის ირაკლისა რის რეშუნების ღირსია? იმისი ხელის წერილი რის პატიკის ღირსია? მაგალითებრ: ერთი რომელიმე ხალხი, რომელიც არის რუსეთში, თავისის ნებით, რომ მიეცეს სპარსეთის სახელმწიფოს, შეადგინოს მასთან რამ ტრახტატი და პირობაები, განა იმას ექმნება რამ ძალი? იმისი შერიცხვა სპარსეთის სახელმწიფოსთან არას გზით არ შეიძლება. ასე ვსთქვათ რომ მეფის ირაკლის დროს სპარსეთში არ იყო უმაღლესი მთავარი და ამ დროს, ასე ითქმის, ორს დღეში იმ მეფემ მიმართა თავისის თავის დასაცველად რუსეთის დიდებულის ხელმწიფის მფარველობას, და მაშ ამ მიზეზის გამო ტფილისი მოესპობა სპარსეთის სახელმწიფოს და რუსეთის სახელმწიფოთ შეირიცხება? არა მგონია.

ახლა მადლობა ღმერთსა, სპარსეთის ხელმწიფობა ამით დამტკიცებული არის, ასე რომ სულ ერთიან ხანებმა, მთავრებმა და ჯარით უფლებმა თავი მოიხარეს და თავი დაუკრეს და წინააღმდეგთ სამფლობელოები დაკლებული არის

ძალითა მისის დიდებულების ჯარისათა, ასე რომ დღითი დღემდი'ინ მისი სახელმწიფო ძლიერდება და არა ისე განიხილება, რომ ათასის წლის წინათვე კუთვნილი მამული სხვას მიეცესთ.

ბოლოს იბრაჰიმ-ხანი ამბობდა, საჭირო არისო, რომ რუსეთს და სპარსეთს შუაო მიჯნები დაედგინოსო, შეურყეველოთ იყოსო, ადრინდელი წესი, კანონები და სიმართლე აღსრულდებოდნენო, რომ მტრობა და ცუდ უბრალო სისხლის ღვრა არ იყოს და არც ხალხი შეწუხებაში იყოს, ერთის სიტყვით, რომ მშვიდობა არ მოიშალოსო.

იბრაჰიმ-ხანი მშვიდობას და მეგობრობას ეძებდა და სპარსეთის ჯარი, რომლის რიცხვიც 7000-10,000 იყო აბბას-მირზასი და სულეიმანის ხელ ქვემოთ იყო, არაქსის მარცხენა მხარეს გამოვიდნენ და იმ ჯარის წინა მსვლელს ჯარს ერევანი შეპყრობილი ჰქონდა. ერთი თვე იდგნენ ისინი ერთს ადგილს, აბბას-მირზამ როგორც, რომ შეიტყო, რუსეთი საქართველოს შემწეობას აპირებსო და ჯარებსაც გამოსაგზავნათ ამზადებსო, მაშინვე არაქსის მარჯვენა მხარეზედ გადვიდა უკანა. ერევანსაც მოხსნა ის გარეშემო შემომდგარი ჯარი და ისიც იქ თავისთან მიიყვანა.

აქედამ სულეიმანმა და აბბას მირზამ გაგზავნეს ბრძანებები აღრიბეჯანში, ხოიში და სხვა ადგილებში, რომ ხელახლათ ჯარები მოეგროვებინათ, შეერთებულიყვნენ და ისე შეერ-

თებულის ძალით წამოსულიყვნენ საქართველოზედ საომრათ.

სულ ერთიან იმ შეგროვილის ხალხისა, მისწერა ლაზარევმა კნორინგს 3 აგვისტოს, არაფრით შეშინიან, მაგრამ წმინდის სინდისით მოგახსენებთ, რომ ხელები დაიღალება იმათის ხოცითა; ქართველების იმედით კი ვერ დავდგები, ამიტომ, რომ ათს კაცს ორი თოფის მეტი არა აქვსთ და დანარჩენთ იარაღის მაგიერათ შეინდის ჯოხი ცეცხლში გაელებული უჭირავთ, ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ აქ მინაგანი განხეთქილება და უთანხმობა არის. სომხებისა თუმც დიდი იმედი აქვსთ, მაგრამ ჩემთვის ძალიან საეჭონი არიან.

რადგან კნორინგს იმპერატორის ბრძანება ჰქონდა, რომ საქართველოში წამოსულიყო, მისწერა კოვალენსკის ამაზედ, და ამან რომ ნახა საჭიროება არ მოითხოვდა იმ გვარს ჯარების მოშველებისას, მისწერა კნორინგს 3 მარიამობის თვესა, რომ ყიზილბაშების მოსვლა აგრე რიგათ საშიში არ არისო და რასაც ლაპარაკობენ მომატებული არისო.

გიორგი მეფეს კი კნორინგმა მისწერა, რომ აბბაზმირზასთან ლაპარაკი კიდევ ჰქონოდა და იმასა ცდილიყო, რომ ნამდვილ ყიზილბაშების სურვილი შეეტყო.

„ბაბახანის და იმისის შვილს აბბაზმირზას სურვილი მისწერა გიორგი მეფემ კნორინგს, ეს არის, რომ გაუგზავნო მე იმათ ჩემი უფროსი შვილი დავით; მერე მოითხოვენ იოანეს,

მერე ბაგრატს, მერე თეიმურაზს და ბოლოს ჩვენ თითონ.

ისინი იმას თხოულობენ, რომ ჩვენი სამეფო იმათ მივცეთ, რომ ისევ ისე იკლებდნენ ჩვენს ქვეყანას, როგორც ადრე აკლებდნენ.

იმათი სურვილი ეს არის, რომ მისის იმპერატორების დიდებულების საფარველს თავი დავანებოთ და იმათს ქვეშევრდომობაში და მონებაში ვიყვნეთ.

მაგრამ ჩვენ რაც უნდა ძალი დაგვატანონ, რაც უნდა გვტანჯონ, გვაქვს იმედი ღვთისა და რუსეთის იმპერატორის მფარველობისა რომ სპარსების მონებაში არ მივეცემით.

იწერებით, იქმნება იმათ ისა სურდესთო, რომ მივეშველნეთ ჩვენ იმათ ომშიაო, როდესაც ისინი ჩვენს მეზობლებს ეომებოდნენ; მაგრამ იმათ ეს არა სურსთ. ჩვენ სწორეთ გამოგვეცხადეს ბაბახანის და აბბას-მირზასგან, რომ ისინი იმას ცდილობენ, რომ საქართველო ხელში დაიპყრან და მონებაში ჰყვანდესთ. ამას გარდა იმათთვს არაფერი ჩვენი შემწეობა საჭირო არ არის.

მეფის გიორგისგან დადგენილი საბაასო შეყრილობა, მასზედ რომ ეფიქრათ თფილისის დაცვა მტრის დაცემისგან, სადაც კოვალენსკი დანიშნული იყო უპირატეს პარად, ამ საქმეების გამგელობაში საქმობდა ისე, როგორც საეჭვოთ ხედავდა. კოვალენსკიმ ყოველს საქართველოს მოსამძღვრეებს

მისწერა ხვეწნა, რომ ისინი საქართველოს პირდაპირნი მტერნი არა ყოფილიყვნენ და არც მტრისთვის შემწეობა მიეცათ და თავი შეეკავებინათ.

რაც ქალაქში ჯარი იყო, ის სრულბით ჩააბარეს რუსეთის მინისტრსა და იოანე ბატონიშვილსა. უმეტესი ნაწილი მოსახლე და გულის ხალხის მეყარეს ქალაქში და დამცველათ დააყენეს. ქალაქი გაამაგრეს, გაუკეთეს დიდი თხრილი, და ისეთი დასაქანი ნაპირები ჰქონდა, რომ უფრო სანგარს გვანდა, მინამ ქალაქის საფარსა.

ამ გვარს მოქმედებაში ლაზარევი არც საჭიროებას ხედავდა და არც წარმატებას. იმისის ჰაზრით საუკეთესო და აუცილებელი საქართველოსვის ის იყო, რომ ხელახლა ჯარი მოსულიყო, იმისთვს რომ მეფის წინააღმდეგნიც დაემორჩილებინა და მტერიც ლაგამ ამოდებული დაეჭირა ხელშია.

თუმც იმპერატორმა პავლემ დრაგუნის ჯარი დანიშნა საქართველოში გამოსაგზავნათ, მაგრამ რადგან საქართველო მთიანი და მოწყვეტილი ადგილი არის ამისთვს ლაზარევი იმათ გამოგზავნას საჭიროთ არა ხედავდა, ის საუკეთესოდ ხედავდა, რომ იმათ მაგიერათ ყაზახის ჯარი მოსულიყო, ერთი პოლკიც ეგერისა და სამი ან ოთხი ლინეინის ქვეითი ჯარის ბატალიონები არტილერიით. კოვალენსკი საკმაოთ ხედავდა, რომ ერთი პოლკი ეგერისა მოსულიყო.

მე შევიტყე, რომ მინისტრი კოვალენსკი გწერსთ თქვენა, მისწერა ლაზარევმა კნორინგს, რომ საკმაო იქმნება ერთი პოლკი ეგერისა; მაგრამ ამაში იმას ეს აქვს მხედველობაში, რომ თქვენ არ მოხვიდეთ. იმას თქვენი აქ მოსვლა ძალიან არ უნდა, მე კი დიდათ ვსაჭიროებ თქვენს აქ მოსვლასა...

კოვალენსკი ცდილობდა, თუ რომ რუსეთიდამ ჯარები წამოსულიყო საქართველოში, გზები და ხიდები გაეკეთებინათ და სურსათი და ჯარის საკვების საქმელი მოემზადებინათ საგზაოთაც და ბინაზედ საქართველოშიც ამითვს ტფილისში დიდი ამბავი იყო გამართული და გორშია და სიღნახში მომცროები.

ამბრები თუმც გამართეს, მაგრამ შიგ პური არ იყო, მეფემ უბრძანა აევსოთ ამბრები პურით ჯერ ტფილისის და მერე სიღნაღისა და გორისა.

ტფილისის ამბარშა მოთავსდებოდა ფქვილი 300,000 და ხორბალი 3000 ფუთი. რადგან რომ წისქვილები არ იყო მოცლილები, სურსათს ხორბლათ აგროვებდნენ. ამ ამბრიდანვე ურიგებდნენ სურსათს ქართველის ჯარს და ლეკეისას, რომელიც მეფეს ნაქირავებელი ყვანდა სიღნაღში და გორში კი ამბრები ცარიელები იყო. თუმც მკაათვემე გაგზავნილნი იყვნენ ქართლში და კახეთში პურის მოსაგროვებლათ, მაგრამ მარიამობისთვის გასვლამდისინ ტფილისში არა ჩამოუგზავნიათ რა. ლაზარევმა რომ ნახა ამ გვარი

უიმედოვნობა პურის შოვნისა, თავისის ჯარისთვს ბაზარში დაიწყო პურის ყიდვა და შენახვა. საიმედოვნო არ იყო რომ საქართველოს შესძლებოდა კიდევ ათასის კაცის რუსის ჯარის გამოკვება, ამ გვარის ქცევის მიზეზით.

ხვნა-თესვა საქართველოში თუმც გამართული იყო და სოფლის მცხოვრებთ საკმაო. პური ჰქონდათ, მაგრამ ქალაქში არ მოჰქონდათ არაფერი გასასყიდათ, ამიტომ რომ საქართველოს მმართებლობა ხშირათ ძალით წართმევდა ხოლმე. ხშირად მოხდებოდა, რომ სოფლის გლეხი დატვირთულს სავსე ურემს ჩამოიტანდა ქალაქში გასასყიდათ და იმის მაგიერათ, რომ გაეყიდნა, მეფის სახელობით წაართმევდნენ საქონელსა მომშეულს გაირეკდა და ხელცარიელი შინ დაბრუნდებოდა. ჯარის ცხენების საჭმელს სრულებით არ ამზადებდენ და არც რამ იმედი იყო რომ მოემზადებინათ.

ამ გვარი საქმის დგომარეობა ლაზარევმა რომ ნახა, კრონილს მისწერა, 20 და 25 აგვისტოს 1800 წ. რომ იმას წინათვე შეეტყობინებინა ჯარების წამოყვანა საქართველოში, ამისთვის რომ ჯარები უპურსათოთ, უშეშოთ, უსახლებოთ და რა უცხენოს საჭმლოთ დარჩომილიყვნენ .... ამასთან მისწერა გზაზედ მთებში ძნელის გამოსავლისთვის ულლები წიმოელოთ და „შავი ფული, რომელიც იმ გვარათვე გადის, როგორც თეთრი ფული.“

ამისთანა მზადებისგამო, ქართველები მარიამობისთვის დამდეგს ძალიან შეშინებულები იყვნენ ტყუილის ამბებით, რომ

ვითომყიზილბაშები ალექსანდრე ბატონიშვილის მოცადინეობით კიდევ დაცემას აპირებდნენ, ვითომ რომ ის ბატონიშვილი რადგან აბაზმირზას ურდოში იყო. წიგნები ბატონიშვილისა, რომლებიც ხელში ჩაუარდათ, თითქმის რომ ამტკიცებდა ამ ამბებს. სხვათა შორის ამ წიგნებში იყო აბაზმირზას ფარვანი, რომლითაც ალექსანდრე ბატონიშვილის ერთგულ ქართველებს აქებდა და ამასთან იწერებოდა, რომ ჯარით მოვდივარ იმისათვისო, რომ ალექსანდრე საქართველოს მეფეთ დავსვაო. მართლაკი ამ ხმების დაყრის მიზეზი არაფერი დასამტკიცებელი ოქმი არ იყო. კოვალენსკიმ და იოანე ბატონიშვილმა გამოიძიეს და აღმოჩნდა, რომ იმ წიგნებში ორი წიგნი იყო ალექსანდრე ბატონიშვილისაგან მოწერილები: ერთი მათგანი სომხის მელიქთან აბოვიანა და მეორე თავად თამაზ ორბელიანთან.

შემდეგ ალა-მაჰმედ-ხანისაგან ყარაბაღის აკლებისა, იქაურნი სომხის მელიქები იმას ცდილობდნენ რომ თავიანთთვის ეპოვათ ისეთი ალაგი, სადაც შიში არა ჰქონოდათ მტრისა. ორნი მელიქები თავიანთის საყმო ხალხით საქართველოში გადმოსახლდნენ და რუსეთის მფარველობას ეძიებდნენ, შემდეგ ამისა ორი მელიქიც მოემატა ამათ და ამათ შორის მელიქი აბოვეც იყო. რომელიც რაკი კოვალენსკი მოვიდა ტფილისში, დააჭერინეს ერთის საქმო მიზეზის გამო. მაგრამ მინისტრის შუამდგომლობით გამოუშვეს საპყრობილიდამ და კოვალენსკიმ გაგზავნა აბოვი სპარსეთის მიჯნის დასაცველათ

და იქაურის ამბების შესატყობრათ და მოსაწერათ.

აბოვი მელიქებში გამორჩეული იყო, ძალით, ვაჟკაცო-ბით, ჯარის კაცობით და მამაცობით. ჯარიც საქებური ჰყვა-ნდა ათასს კაცამდისინ რჩეული, ასე რომ თავიანთს მხარე-ზედ საქებურნი იყვნენ. აბოვი მტერს რომ მისდგომოდა, იმითი კოვალენსკის და საქართველოს ხალხსაც დიდათ და-ალონებდა. ეს ახალი ამბავი, რომ შეიტყეს ალექსანდრე ბატონის-შვილს აბოვთან მიწერ-მოწერა ჰქონდა, ძალი-ან შეწუხდნენ ამაზედ საქართველოს ხალხიცა და თიონ მე-ფეცა.

მეორის მხრით დასაჯერებელიც არ იყო ეს ამბავი, მი-ტომ რომ სხვები რომლებიც აგრეთვე იყვნენ მიჯნების დასაცველათ დაყენებულები, იმათ თავიანთ თავათ ყველამ თავი დაანებეს მიჯნებს და აბოვი კი მიჯნას რომელზედაც იდგა არ მოშორებია და საქართველოს მცველათ თითქმის ის იყო ერთი. ძალიან დიდი შემწეობაც მოსცა იმან თა-ვისის ერთგულობით საქართველოსა, ასე რომ იდგა მიჯ-ნებზედ გამაგრებული, რასაც შეიტყობდა სპარსეთის მმარ-თებლობის ჰზრებს მაშინვე საქართველოს მმართებლობას და მეფეს აცნობებდა ხოლმე და ამისის მიზეზით რაც რომ საქართველოში წინააღმდეგობა და განხეთქილება იყო მოე-სპობოდა ხოლმე.

დასაჯერებელი არ იყო, რომ ამ გვარი კაცი გადამდგა-რიყო და ბატონის შვილებს ღალატში მისდგომოდა, მაგრამ

რადგან აზიის ხალხში შხირი იყო ორპირობა, ამისთვს აბოვის მოქმედებაზედაც ეჭვში შევიდნენ.

კოვალენსკიმ დაიბარა და თუმც აბოვი ავათ იყო, მაგრამ იმას არ მიხედა და მაშინვე ტფილისში მოვიდა, რომ თავი ემართლებინა და ეჭვიდამ გამოეყვანა. ორი კაცი, რომელთაც წიგნები წაართვეს, პირში წაუყენეს აბოვს, მაგრამ ლაპარაკში აღმოჩნდა, რომ პატივცემული აბოვი სრულებით მართალი იყო და არაფერი დანაშაული არა ჰქონდა ამ მელიქსა. საქმე ამ გვარათ იყო:

გიორგი მეფის ბრძანებით და კოვალენსკის დარიგებით აბოვმა ორი კაცი გაგზავნა ყიზილბაშების ურდოში. იქ ისინი იცნეს და ერთს იმათგანს, რომ შეშინებოდა, არ მოეკლათ, იმას ეთქვა, აბოვმა გამოგზავნაო ბატონიშვილთან ალექსანდრესთან სალაპარაკოთაო, რომ მეფის გიორგის რისახვით დაუწყოთ წინააღმდეგობაო. ისინი მაშინათვე იქ გაიგზავნათ სადაც ალექსანდრეს მოწყალებითა და პატივით მიეღო და კიდეც დაესაჩუქრებინა ისანი. ჩვიდმეტი დღე ისინი იმ ყიზილბაშის ჯარის ურდოში ყოფილიყვნენ და მერე ბატონიშვილს გამოესტუმრებინა წიგნებით და ფირმანით საქართველოში. ბაქოს საბრძანებელში ისინი დაეჭირათ იქაური მბრძანებლის თავადი გიორგი ციციშვილის მოხელესა, მეტადრე იმისათვის, რომ ციციშვილს აბოვის ჯავრი სჭირდა. ამ დაჭერილებს მაშინათვე ეთქვათ, რომ ჩვენ გიორგი მეფის ბრძანებით ვიყავით გაგზავნილები ყიზილბაშის ჯარის ურდო-

შიათ; მაგრამ მაინც კი შეეპყრობთ ისინი, გაეცარცვათ, დაეტუსაღებინათ და წართმეული ქალები ტფილისში გამოეგზავნათ. ქალაქში რომ ხმა დაჰყარეს აბოვს ალექსანდრე ბატონიშვილთან მიწერ-მოწერა აქვსო, ძალიან ბევრს ხალხს შეეშინდათ ამ ხმისა, მინამ საქმეს დაწვრილებით არ გაიგებდნენ. შემდეგში კი შეიტყეს, რომ საქმეში არა იყო-რა და დამშვიდდნენ კიდეც. მეტადრე უფრო ამითი, რომ იმ გაგზავნილმა კაცებმა აბბაზ-მირზასი და სულეიმანის ჯარები არ აქეს.

არაქსის გამოსულ ყიზილბაშის ჯარი სულ იყო 12,000 კაცი, ძალიან ცუდათ დაიარაღებულნი, ასე რომ ზოგიერთს ერთის ხის კეტის მეტი იარაღი არა ფერი ჰქონდათ. მთელს ამ ჯარს ოთხი ზამბურაკი ჰქონდათ აქლემებზედ გამართული. ჯარს სურსათი სრულებით არა ჰქონდათ და ერევნის ხანის საბრძანებლის სოფლებში რაც პური ეშოვათ, იმითი იკვებებოდნენ, რადგან იქაური ხალხი სულ ერთიან გაქცეულიყვნენ. აბბაზმირზას და სულეიმანის ჯარს ერევნის ხანის საბრძანებლის მინდვრები, რომ დარჩენოდათ, თითონ დაეწყოთ იქ ხვნა და თესვა პურისა.

ამ გვარის ჯარით ძნელი იყო საქართველოზედ საომრათ წამოსვლა და გამარჯვება, მეტადრე იმიტომ, რომ იმ ჯარის სარდალი, აბბაზმირზა თორმეტის წლის იყო და იმისი ბიძა სულეიმან, როგორც ლაზარევი იტყოდა, იყო ლოთი და ბაბახანსაც ემდუროდა, ამისთვის, რომ ის იმას წინა წელი-

წადის დატუსაღებული ჰყვანდა, ალექსანდრე ბატონისშვილი თუმც სულეიმანს აგულიანებდა, საომრათ წამოსასვლელათ და მომიჯნავეების მოშველების იმედი ჰქონდა, მაგრამ სულეიმან მართლა იმას ფიქრობდა, რომ როგორმე უკან დაეწია და თავრიზს დაახლოებიყო, ემაზედაც ემზადებოდა ყოველის გზით.

ეს ამბები თუმც დიდათ სასიამოვნო იყო, მაგრამ შინაგანი საქართველოს არეულობა და განხეთქილება დასაღონებილი იყო.

დარია დედოფალი და იმისი შვილები სპარსეთის მფარველობას ეძებდნენ და ალექსანდრე ბატონისშვილიც, რომ გაიქცა პირველი იმედის იმათი მისაცემი გზაც ის იყო. გიორგი მეფე თავისის ავათმყოფობის მიზეზით ხალხს იშვიათათ ეჩვენებოდა და ისეთი პირნი ჰყვანდნენ შემოხვეულნი გარეშემო, რომ ისინი მხოლოდ თავიანთს ბედნიერებას და გამდიდრებას ეძიებდნენ ხალხის ცუდის მდგომარეობით დააკლებით, ამითი უმეტესათ და უმეტესათ ხალხი უმადური ხდებოდა და ემდურებოდა მეფეს.

მეფის ძმები, თავ-თავიანთს საუფლისწულოებში იყვნენ, მეტის მეტი სიხარბე და ანგარება ჰქონდათ და უწესობას ეძებდნენ, შეჰყარეს იმათ თავიანთთან ისეთნი ხალხნი, რომელნიც მართებლობის მომდურავნი და წინააღმდეგნი იყვნენ, ისინი იმათ აქეზებდნენ წინააღმდეგობაზედ, უწესობაზედ და ქირევეულებაზედ, რომ ამითი თავიანთი ცუდი განზრახვა

ალსრულებაში მოეყვანათ. შიში და მორიდება რომ არა-ვისი ჰქონდათ, თავის უფლათ ცდილობდნენ თავიანთის განზრახვის ალსრულებას. ამ გვარათვე დარია დედოფალიც ჯავრობდა იმაზედ, რომ იმას ჩამოერთო სადედოფლო მამულები და დადგინებულის წესის ძალით მიეცა ის მამულები დედოფლის მარიამს; ამისთვის დაიწყო დარიამ თავისი უწესო ცბიერი მოკალინეობა ბაბახანთან.

ალექსანდრე ბატონიშვილმაც მიიღო ბაბახანის ფირმანი, რომლითაც მეტის-მეტად აქებდა და წინაალმდეგს მოქმედებაზედ აქეზებდა, ამასთან ყიენი ჰპირდებოდა შემწეობას საქართველოს სამეფოს მიცემისას. ბაბახანმა ალექსანდრეს ხანის ღირსებაც მისცა, ძვირფასი ტოლომა გამოუგზავნა და ქაღალდზედ მოხაზული წინადადება გამოუგზავნა, იმისი რა სახით უნდა დასცემოდნენ ტფილისსა ორის მხრიდამ, ავარიის ომარხანის შემწეობით, რომელიც იყო დგომით ლეკის სოფელში ბელაკანშია და საქართველოზედ ახლო მომიჯნავე იყო. ასე იყო დაწყობილება: იმერლები ახალციხის ფაშის ჯარით უნდა დასცემოდნენ ქართლსა, ავარიის ომარხან კახეთსა და ალექსანდრე ბატონიშვილი ყიზილბაშის ჯარით ყაზახსა და თათრებსა, რომელიც იყო საუკეთესო მეფის საბრძანებლები. თუ რომ ვაიმარჯვებდნენ ეს ჯარები ერთიან ტფილისში უნდა შემოსულიყვნენ.

„მე დარწმუნებული ვარ, დასწერა ლაზარევმა თავისს მოხსენებაში 31 აგვისტოს 1800წ.— რომ ეს წინადადება

მხოლოდ ქაღალდზედ იქმნება, მაგრამ როგორც აქაურის ხალხის სიმხდალე და შიში ვიცი, დარწმუნებული ვარ, ცოტაოდენი მტრის ჯარი რომ დაინახონ, მაშინვე თავიანთს თავს დაანებებენ და ხელაში გაიქცევიან, ამითი გულს მისცემენ ცუდსა და შეუძლებელს მტრის ჯარსა.„

დარია დედოფალს და იმისს შვილებს ვახტანგსა და მირიანს ბატონიშვილებს მოუვიდათ ალექსანდრე ბატონიშვილის წიგნები, რომლითაც ის ხვეწნას სწერდა ცოტა კიდევ მოითმინეთო და იმედს აძლევდა მოვალო და მოვარჩენთ რაც გიორგი მეფისგან შეწუხებაში ხართო.

ამ მიზეზების გამო გიორგი მეფემ 20 და 31 აგვისტოს სთხოვა კნორინგს წიგნითა, რომ 6000 კაცი რუსის ჯარი გამოეგზავნათ საქართველოში მუდმის სამყოფოთ.

„დიდათ საჭირო არის ჩვენთვის 6000 კაცი რუსის ჯარისა, მისწერა მეფემ, ასე რომ უიმისოთ არ შეიძლება, და მაგათი შენახვა ჩვენთვის გასაჭირი არ არის.... თუ რომ ეს თხოვნა ჩვენი არ აღასრულეთ, მა ფრით არ დაემძლიებათ ჩვენს შინაგანს და გარე მტერა ბოროტების აღსრულება.„

გიორგი მეფეს სურდა, რომ თავისი სამეფო რუსის ჯარით გაემაგრებინა და თავისი საკუთარი ჯარი კი არა ჰყოლოდა. კნორინგმა სთხოვა ლაზარევსა, შეაგონე მეფესო, რომ რუსეთის ჯარი კიდეც რომ გამოვგზავნოთო დროებით იქმნებიან მანდაო და არა მუდმისათაო, იმისათვის, რომ მტერი მოაშოროსო და მეფემ თავისი საკუთარი ჯარი უნდა შე-

კრიბოსო, რომელიც შეუძლიან საქართველოში მოკრიფოს და შეინახოს კიდეცა 5000 კაციო.

კნორინგმა გიორგი მეფეს მისწერა 31 აგვისტოს, იმპერატორის ბრძანება მივიღეო, საქართველოში წამოვიდე ჯარიბითაო, მაშინ როდისაც შეიტყო. რომ მართლა მტრის შიში იყოსო; მაგრამ რადგან გავიგე, რომ აბბაზ-მირზას ჯარი არაქს იქით გასულაო, ამისთვის საკმაოთ ვხედავ რომ 3000 კაც ქვეითი ჯარი გამოვგზავნოო.

„თქვენ გვაუწყებთ ჩვენ, — მისწერა გიორგი მეფემ კნორინგს 8 სეკტემბერს — ვითომ სამყოფი იყოს 3000 კაცი ჯარისა, რადგან მტერი დაცემას არ აპირებდეს. მტერი ჩვენ შორის მრავალი არის შინაგანი, პირობა მიცემული აქვთ მათთან რაც შეეძლოთ იმ გვარათ აგვიკლონ. ამისთვის გთხოვთ ჯარი მოუმატოთ რიცხვი და შეავსოთ 6000 კაცათ."

ამ გვარათ, გიორგი მეფე, ლაზარევი და კოვალენსკი, სამნივ ერთ გვარათ საჭიროთ სახავდნენ, რომ ტფილისში კიდევ ჯარი მოსულიყო.

საჭირო იყო რომ ჯარი საჩქაროზედ მოსულიყო. სპარსელები იკლებდნენ და დაეცემოდნენ ხოლმე უმეტესად ივნისის და წყებიდამ სეკტემბრამდისინ, მაშინ როდისაც ჯარის გადმოსვლა კავკასიიდამ საქართველოში საძნელო იყო. ჯარი ადრევე უნდა გამოეგზავნათ და იმისთვის ეკადნათ, რომ მტერი როდის დაეცემოდა.

1800 წ. მარიამობისთვეში დანიშნეს კავკასიის ლინიი-

დამ გამოსაგზავნათ ჯარი ერთი პოლკი; ღენერალ-მაიორი ღულიაკოვისა, ასის ყაზახით და ხვედრის თოფხანით. რაც საჭირო იყო ლარსამდისინ თან გამოატანეს ჯარს, ლაზარევს მოსწერა კნორინგმა 14 აგვისტოს, შემდეგ ლარსისა ჯარის საჭიროებისთვის ეზრუნა და გიორგი მეფესაც მაშინვე მოსწერა კნორინგმა, რომ დანარჩენს ჯარს მე თითონ გამოყვები. როდესაც დრო ნებას მომცემსო და საჭიროებაც რომ მოითხოვსო.

ლაზარევმა ათის დღის სურსათი მიაგება პოლკს ლარსში და აგრეთვე ცდილობდა, რომ შეემზადებინა სხვა საზღოც ლარსში, ყაზბეგში, კაიშაურში, ანანურში და დუშეთში.

ღენერალ-მაიორი ღულიაკოვის პოლკი გამოვიდა მოზდოკიდამ 25 აგვისტოს და მოვიდა ტფილისში 23 სეკტემბრს.

გიორგი მეფემ არ მიხედა თავისს ავათმყოფობას, მოისურვა ამ ჯარის მიგებება.

23 სეკტემბერს გათენებისას მეფე გაბრძანდა ეტლით (ლინეიკა) პოლკის მისაგებლად, მას გაჰყვნენ დედოფალი მარიამ ტახტრევანდით, მემკვიდრე და ბატონის შვილი დავით, სხვა ბატონის-შვილები, დიდკაცობა. კარის კაცნი და მდაბალი ხალხი ჯგუფ ჯგუფათ მიდიოდნენ ქალაქს გარეთ. სპარსეთის ელჩი, რომელმაც მეფეს გიორგის მოუტანა ბაბახანის ფირმანი, ისიც იქ იყო და მიდიოდა ამ ხალხში.

ქალაქ-დამ სამს ვერსტს გარეთ ორი სამეფო კარავი იდგა, ერთი მეფის გიორგისთვის და მეორე დედოფალი მარიამის-თვს. ამ დროს მზემ დაიწყო ამოსვლა და მშვენიერი მუქი შეაყენა ამ ჯარის მისაგებებლად მოსულს ხალხს. მოშორე-ბით გამოჩნდა ჯარიც მომავალი. მეფე მაშინვე თავისის ამალით წინ მიეგება, დედოფალი მარიამ კი დარჩა კარავში და ელოდა ჯარის მოსვლას.

მეფე რომ მიახლოვდა ლულაკოემა ჯარი შეაყენა და მერე პატივი გადუხადეს მეფეს (отдали честь царю) რომ-ლის მოსაშველებლათაც მოდიოდნენ ტფილისში. ტფილისის ციხიდამ დაიწყეს ზარბაზნის სროლა და ეკკლესიებში ზარის რეკა. ხალხი სიხარულით შემოეხვია ამ ჯარს და ქალაქის შეიდნამდისინ მოიყვანეს.

ქუჩების სივიწროის გამო ჯარი აირია და წყობისათ ველარ მოდიოდა, ბაირაღი მიიტანეს იმ სახლში, რომელიც ლულიაკოვისთვს იყო სადგომად დანიშნული და თითონ ჯარები წავიდ-წამოვიდნენ დანიშნულს სახლებში, ზოგნი ქა-ლაქში და ზოგნიც ქალაქს გარეთ ავლაბარში.

გიორგი მეფე ჯარს ვერ გამოჰყვა, დარჩა ქალაქს ახლო სოფელს კუკიაში, მინამდისინ საშინელი ქარი არ დამშვიდდა.

მეორეს დღეს ღენერალ-მაიორი ლულოკოვი და სულ ერთიან აფიცრები მეფეს გამოეცხადნენ, იმ ღამეს ქალაქში ჩირაღ-დანი გამართეს და მაშინ ქალაქის მცხოვრებლები სროლს

სიმხიარულეს მიეცნენ. ქარვასლა (ГОСТИНЫЙ ДВОРЪ) სავაჭრო ადგილი კი აღარ იყო, ჰგვანდა მშვენიერს სალხინოსა, ისმოდა ხმა მექცევისა და სიმხიარულისა და იყვნენ. იქ მეფის სახლეულება და სხვანიც გამოჩინებულნი პირნი დიდიდამ პატარამდისინ.

მეფე გიორგი თუმც ძლიან ცდილობდა რომ 6000 კაცი მოსულიყო რუსის ჯარი, მაგრამ ეს ერთი პოლკი რომ მოუვიდა სრული კმაყოფილი შეიქმნა ამისი.

„როგორც კაცი მწუხარე და შეშინებული, ხშირად ტყუილათაც, შინაურის და გარეულის საქმებისგან, გიორგი როდესაც მიეცემოდა სასოწარკვეთილებასა და შეწუხებასა. ამ გვარს მდგომარეობაში ის იმას მიატანდა ხელს ხოლმე, რაც კი რამ მეხვდებოდა საშველი, ამისგამო აქამდისინ აუცილებლივ იმოდენა ჯარს თხოულობდა, რომლითაც იმედი ჰქონდა თავისის თავის დაცვისა. ახლა კი უკეთ შეიქმნა თავის ავათმყოფობისგან, დამშვიდდა.“

გიორგი თუმც დამშვიდდა, მაგრამ იმისი ძმები და ნათესავები კი არ დამშვიდებულან. გიორგის ავათმყოფობა აწუხებდა იმის ძმებსა, ამითი, რომ მეფის გარდაცვალების შემდეგ ძე მისი დავით დაიპყრობდა სამეფოს, მაშინ როდესაც ირაკლის მეფის ანდერძით იმას არ ეკუთნოდა.

რუსეთიდამ რომ საქართველოში ჯარი კიდევ მოვიდა გიორგი მეფეს ძალი მოემატა და იმის ძმებს კი შიში უმეტესი მიეცათ.

„რომლისაც ის (მეფე საქართველოსი) იმ ცოტას ჯარის იმედით იმ გვარათ გრჩაგრავდა—ვახტანგ ბატონიშვილმა მისწერა კნორინგსა 22 სეკტემბერს 1800 წ. ეხლა რომლისაც იმ ჯარს მოემატა, იმისის საფარველისთჳს, უეჭველი არის, რომ უმეტესათ შეგვაწუხებს ჩვენ ისა.“

ბატონის-შვილი სჩივოდა გიორგი მეფეს იმაზედ, რომ ჯარი მოსთხოვა რუსეთს იმისთჳს კი არა რომ სამეფო და ხალხი დამშვიდებული იყვნენო, თავისის საკუთარის სიმშვიდისთჳს და თავის საფარველათა, რომ მისის იმედით თავისი ძმები უმეტესად შეეწუხებინა და უსამართლოება ეხმარა.

მეფის ძმებს ყველას ეშინოდათ, რომ ვინიცობა იყო მეფე გარდაცვლილიყო, რუსის ჯარს, დავით ბატონის-შვილი არ გაემეფებინათ, რადგან რომ დამტკიცებული ის იყო მემკვიდრეთ.

გრაფი მუსინ-პუშკინი საქართველოში იყო მოსული, მადნების გამოსაძიებლათ და საპოვნელად და როცა იმან დუშეთზედ აიარა, მაშინ ვახტანგ ბატონისშვილმა სთხოვა იმას ცალკე მოლაპარაკება. გრაფი მუსინ-პუშკინი თანახმა შექმნა ამაზედ და როცა შეიყარნენ, ბატონისშვილმა ჩივილი დაიწყო იმასთან მეფე გიორგიზედ, რომ მეფე იმას, იმის სახლობას და მეუღლე დარია დედოფალს უსამართლოთ ექცეოდა და აწუხებდა.

ამაზედ იმან უპასუხა ვახტანგ-ბატონისშვილს, რომ მე

ჩემის გამომძიებლობის ანუ შეტყობის სიყვარულით მოვედი საქართველოში მოგზაურათაო და მე ნება არა მაქვსო მოვახსენო ისა, რაც ჩემთვს არ უბრძანებიათო, ამისთვს გირჩევო, რომ ეგ ყოველიფერი იმპერატორს მოახსენოთო.

ვახტანგ თანახმა გაუხდა ღრაფს მუსინ-პუშკინს ამ რჩევაზედა და მერე სთხოვა, რომ იმპერატორს პავლეს ჩემი წიგნი მაინც მიართვიო და როცა პუშკინი ამაზედ თანხმა არ შეიქმნა, მერე ბატონიშვილებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს და საერთოთ წიგნი გაგზავნეს პეტერბურღში.

იმათ რუსეთის მმართელობას შემწეობა სთხოვეს მაზედ, რომ მეფის ირაკლის ანდერძით, მეფობა ჯერით უნდა შეგვხვდესო, ასე რომ ვინც ჩვენში უფროსი იყოსო, იმას უნდა მიეცეს მეფობაო, ესე იგი ჩამორიგებითა ჩვენს ძმებშიაო და საქართველოს ხალხიც ამისი მოსურნე არისო.' ეს წიგნი გაგზავნეს 7 ოკტომბერს 1800წ. კნორინგმა რომ ნახა ამ ვარი უთანხმობა და არეულობა, არ იცოდა რა ექმნა, ვინიცობა იყო მეფე გარდაცვალებულიყო და ამისთვს იმანაც 7 ოკტომბერსვე მოახსენა იმპერატორს პავლეს, რა ჰქმნას ამ შემთხვევაში ჯარმაო, რომელიც ტფილისში არისო.

ამის პასუხათ კნორინგს მოუვიდა 29 ოკტომბერს რესკრიპტი იმპერატორის პავლე პირველისა, მისწერეთ ღენე-

რალ ლაზარევსაო, რომ თუ ნახოს ძმების უთანხმობა და განხეთქილებაო, მაშინვე ტფილისს თავი დაანებოსო და ჯარები კავკასიის ლინიაზედ წამოიყვანოსო.

ამასთანავე რუსეთის მმართებლობამ რომ შეატყო ამ გვარი არეულება მეფის სახლობას და რაღაცა დაფარული უსიამოვნობა მეფეს გიორგიში და კოვალენსკიში, საუკეთესოთა სცნა რომ კოვალენსკი ტფილისიდამ უკან წაეყვანათ. რაც კი რამ საქმები ჰყონდა მინისტრს წარმოებაში ორს ნაწილათ გაჰყვეს. რაც საქმეები აქაურის ქვეყნების ვაჭრობას შეეხებოდა, გადასცეს სპარსეთში ღენერალნი კონსულათ დანიშნულს ნადვორნი სოვეტნიკს სკიბინევსკისა, რომელიც დაინიშნა ამ თანამდებობაში ივლისის თვეში 1800 წ. და მიწერ-მოწერაები საქართველოს მეფისა რუსეთის მთავრობასთან გადასცეს კავკასიის ლინიის მხედართ მთავარსა.

კოვალენსკიმ საქმეები ჩააბარა ღერენალ-მაიორს ლაზარევსა, დარიგებაები, (инструкціи) უქაზები და ფული კნორინგს ჩააბარა და საქართველოდამ წავიდა. ეს ნამინისტრალი საუკეთესოთა ხედავდა თავისათვის ამ თავისსდაბარებას რუსეთში, რადგან რომ ცუდ მდგომარეობაში იყო.

კოვალენსკი რომ მიდიოდა საქართველოდამ მაინც მოახსენა რუსეთის მმათებლობასა რომ ჯარების მომატება საჭირო არისო, იმისათვისაო რომ გარეშე საპოლიტიკო საქმეები საჭირო არის გაშხირდესო და თუ თოფი და იარა-

ლი ხელში არ ეჭირებათო, არაფერი პატივისცემა არ ექნებათო.

(სხვა შემდგომ ნომერში იქნება)

---

## ბ უ ნ ე ბ ი ს  მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი დ ა მ.

ქვეყნის სიმგრგვლივს, რომელზედაც ჩვენა ვსცხოვრებთ, გარემო არტყია ჰაერი, რომელსაც სიმაღლე აქვს ას ოთხმოცი ვერსტი. ეს ჰაერი აწვება მიწასა ზღვის პირის სისწორივ თითოეულს გოჯზედ თექვსმეტი გირვანქა. ეს სიმძიმე ჰაერისა მცირდება, როდესაც ჩვენ ავდივართ მაღალს მთაზედა, და როდესაც ჩვენ ჩავსდივართ მაღნებში, მაშინ ის საკმაოთ მრავლდება.

ჩვენ ნიადაგ ვსუნთქამთ ჰაერსა, და ჩვენ ვერ ვიცოცხლებდით ვერც ერთს წამსა.

რადგანაც ჰაერი დაუცხრომელათ მოძრაობს, ამისთვს ის აწარმოებს ანუ სიოსა, ანუ ძლიერს ქარსა, საზარელს ქარიშხალსა.

ჩვენ ისე შეჩვეულნი ვართ ჰაერსა, რომ ისე გვეჩვენება თითქო არც კი არსებობდეს ის სრულიად, მაშინ, როდესაც ის თვისებათაებრ თვისისა ღირსია სრულის ჩვენის ყურადღებისა.

ჰაერი შესდგება სხვა და სხვა ნივთიერებათაგან, რომელთაგან თვითეულს იმათგანსა აქვს, შესახებ მცენარეთა და ცხოველთ სიცოცხლისა, განსაზღვრული და ეთილ მოქმედი მნიშვნელობა. სხვა და სხვა გვართ გამოცდილებათა გვიჩვენეს, რომ ჰაერის შესადგენელათ საჭიროა ოთხი ნივთიერება. იმათგანი ორი, ესე იგი: კისლოროდი და აზოტი შეადგენს უმეტესს ნაწილს ჰაერს და დანარჩენნი ორი ნივთიერება ესე იგი უგლეკისლოტა (*) და წყლის ნამი შეიცვიან იმაში უფრო მცირედნი.

კისლოროდი, როგორც თვით ჰაერიც, არის გაზი, რომელსაც არა აქვს არც ფერი, არც გემო და არცარა სუნი.

---

(*) კისლოროდი, აზოტი და უგლეკისლოტა არიან ერთნაირი ნივთიერებანი, რომელთაც სხვანაირათ ანუ საზოგადოთ ეწოდებათ გაზი.

მოკიდებული სამთელი იწვის კისლოროდში უფრო სისწრაფით, ვინემ ჩვეულებითს ჰაერში. ცხოველნი სუნთქმენ იმაში პირველად დიდის სუბუქით, მაგრამ მოკლეს დროში კი იწყებს იმათში სისხლის მორევასა, მერმეთ მოდიან ისინი ციების მსგავსს მდგომარეობაში, და ბოლოს იხოცებიან მომეტებულის სუნთქმის ორღანოს გაძლიერებისაგან. სიცოცხლე იმათი ქრება უცეფ ღონის გამოლევისაგან მსგავსად სამთლისა, რომელიც რამდენიც ძლიერათ ანათებს, იმდენი უფრო საჩქაროთ იწვის.

კისლოროდის მოპოება ადვილია, თუ რომ აფტექაში გასასყიდს მარტო მარილში აურევთ მცირედს ქვიშას, ჩავყრით ერთად მინაში და გავახურებთ იმათა სპირტით ანთებულს ლამფ ზედ, მაშინ, როდესაც ეს ორი ნივთიერება ერთიან შედუღდება, კისლოროდის გაზი ამოიწყევს ზეკითა და მოკლეს დროში ავსებს მინას. თუმცა იმ გაზს ჩვენ ვერა ვხედავთ თვალითა, და ვერა ვგრძობთ ვერცა რა სხვა საგრძნობს, მაგრამ თუ რომ მინაში ჩავარჭობთ მოკიდებულს კვარსა ანუ გალეიძებულს ნახშირსა, მაშინ დიდი სინათლე რომელსაც გამოსცემს კვარი, ცხადათ დაგვიმტკიცებს ის ნიშანს კისლოროდის მყოფობისას. გარდა ამისა, თუ რომ ჩვენ იმ მინაში ჩაუშვებთ გახურებულს ფოლადის მართულსა, მაშინ ისიც თითქო იწვისო და ჰყრის აქეთ იქით ნაპერწკლებსა.

აზოტსაც არა აქვს არც ფერი, არც გემო და არც სუნი; მაგრამ იმაში მოკიდებული სამთელი უცეფა ქრება,

და ცხოველი იმაში მსწრაფლათ იხრჩობა. მოსაპოვებლათ აზოტისა საჭიროა კაცმა დასდოს რომელიც უნდა იყოს ჩადგმული წყალში პატარა ნატეხი მოკიდებული ფოსფორი ჯამზედ და უნდა დააფაროს იმ ჯამს სხვა ჭურჭელი ვიწრო ყელიანი, ასე რომ პირი იმ ჭურჭლისა ცოტათი წყალში უნდა იყოს ჩაშვებული: მაშინ მოკიდებული ანუ ანთებული ფოსფორი ჩანსთქამს ჰაერის კისლოროდს, რომელიც მოიპოვება ჭურჭელში, ასე რომ იმაში დარჩება ერთი მხოლოდ აზოტი. როდესაც ფოსფორი გაქრება და ჭურჭელი გაგრილდება, მაშინ იმ ჭურჭელს უნდა თავი მაგრათ მოეყაროს და ამოიღონ წყლიდამ. იმის შემდგომ თუ რომ ჭურჭელში ჩაუშვებთ მოკიდებულს სანთელს, მაშინ ის უცებ გაქრება და იმით გამოაჩენს აზოტის აქ მყოფობას.

კისლოროდი მძიმეა ჰაერზედ და აზოტი კი ბევრათ მსუბუქია იმაზედ.

უგლეკისლოტი არის გაზი უფერული, მაგრამ აქვს მცარედი სუნი და მომჟავო გემო. ანთებული ნივთიერებანი ქრებიან იმაში საჩქაროთ, ცხოველები იხოცებიან. ის ერთი ორათ მძიმეა ჩვეულებით ჰაერზედ, და ამისთვის როცა ჰაერი მყუდროა შეიძლება იმისი გადასხმა ერთის ჭურჭლიდამ მეორეში, როგორც წყლისა. თუ რომ იმას გაატარებთ კირის წყალში, მაშინ ის შეერთდება წყალსა გახსნილს კირში

და შეადგენს ერთად იმ კირთან განუზხვავებელს პარაშოკსა, რომლისაგანაც სრული სიყველე მიიღებს რძის ფერს. იმ პარაშოკს ჰქვიან უგლეკისლის კირი, ამიტომ რომ იმაში შეიცავს უგლეკისლოტამ: ეს არის ჩვეულებითი მელი წვრილათ დაფხნილი. ყოველი სასმელი რომელიც შხივის და ჰქაფდება, იმიტომ შხივის და ჭდის ქაფი, რომ შეიცავს უგლეკისლოტას, რომელიც ცდილობს დაიწყოს იმათგან თავი და აიდეს ჰაერში. უგლეკისლოტა მეიდგება კისლოროდისა და უგლეროდისაგან და მენივთდება იმ დროს როდესაც იწვის ანუ ანთია უგლეროდი.

უგლეკისლოტის შეძენაც ადვილია: საკმარია, რომ ჩვეულებითს მელზედ დაასხა ძმარი. აქედამ წარმოსდგება გაზი წვრილ-წვრილ ბუშტებათ ნოყიოზად, მაგრამ რადგანაც ის არის უფრო მძიმე ჰაერზე არ აიწევს ზევით, არამედ რჩება დაბლა ჭურჭლის ძირში, რადგანაც თან და თან უგლეკისლოტა იწყებს მრავლდებას, ის ცდილობს გაძევოს ჭურჭლიში მყოფის ჰაერისასა, და ბოლოს ავსებს იმითი ჭურჭელი ისე, რომ პირზე გადმოვა. რომ კაცი დარწმუნდეს რომ აქ სწორეთ იმოვება უგლეკისლოტა, საკმარია, რომ ჩაუშვას ჭურჭელში ორი ანთებული სანთელი მოკლე ჯოხზედ, ერთი ზემოთ და მეორე ქვემოთ ჩვენ შევნიშნავთ, რომ მაშინ, როდესაც ძირის სანთელი გაქრება, ზევითი ისევ ანთებული იქნება.

წყლის ორთქლი ჰქვიან ყველა ხილულსა თვალით თუ

უხილავს წყლის ნაწილს, რომელიც ადის წყლის პირებიდამ რომლისა აქვს ჰაერთან შეხება. მიწაზედ წყალი გვალვის დროს, შრება საჩქაროთა: ის ადის ზემოთ ორთქლის სახეთ და შეერთვის სხვა ჰაერის ნაწილებს.

გასინჯული ჩვენგან ოთხი ნივთიერება იპოება ნიადაგ და ყოველგან ჰაერში. ისინი ყველა ერთრიგათ მიუცილებელნი არიან დასაცველათ მცენარის და ცხოველთ სიცოცხლისა ქვეყანაზედ, მაგრამ კისლოროდი და აზოტი ისე გადაემეტებიან სხვას ორს ნივთიერებასა, რომ ჩვეულებითათ ამბობენ, რომ ჰაერი შესდგება კისლოროდისა და აზოტისაგანაო.

უგლეკისლოტა შეიცავს ჰაერში ძრიელ მცირედი, მაგრამ ის რაც უნდა რომ ცოტა იყოს, მაინც მიუცილებელია ყოვლის მცენარისათვის.

წყლის ორთქლი ნაკლებათ არის ხოლმე ცივს ადგილებში და ცივს დროებში. წინააღმდეგ ამისა ის მომეტებულია თბილს დროსა და თბილს მხარეებში.

უგლეკისლოტის მყოფობას ჰაერში ადვილათ შეეტყობა იმითი, რომ თუ რომ უგლეკისლიან კირსა გამოვსდგამთ გარეთ, მაშინ იმის ზევით გამოჩნდება თეთრი პრკალი. ორთქლი წყლისა კი მტკიცდება მით, რომ, თუ რომ შევიტანთ თბილს ოთახში ცივის წყლით სავსეს გრაფინკასა, მაშინ რომელიც ჰაერში წყლის ორთქლი იპოება უცებ გამოვა გრაფინკის გარეთ ცვრების სახეთ და დაფარულს

იმ ცივს ჭურჭელსა იმგვარის ცერითა.

მახლობელი გაცნობა ამ ოთხის ჰაერის შემადგენელის ნაწილებისა გვიჩვენებს, რომ არამც თუ თვითეული ჰაერისათვის, არამედ თვითეული იმათგანი შეიცავს ჰაერში იმდენი რომლენიც კი საჭიროა ყოვლისავე მცენარისა და სულდგმულისთვის ქვეყანაზედ.

მაგალ. ვიწყოთ კისლოროდიდამ. ყოველი სულდგმული როცა ჰყლაპავს ჰაერს ერთიან იმასთანავე ჰყლაპავს რომდენსამე კისლოროდსაცა, რომელიც შეადგენს რაღაც იმას საზრდოს მსგავს, ასე რომ უამისობა შეუძლებელია, და ის სულდგმული გარდა კისლოროდისა ვერა რისგან ვერ შეიძენს იმ მიუცილებელს ნივთიერებას. ამისგამო კისლოროდი ყოვლად მიუცილებელია ყოვლის ცხოველისათვის ქვეყანაზედ.

სამთელს თუ სხვა დასაწვავს ნივთს იმიტომ ვკიდებთ ცეცხლს ჰაერში, რომ ის, ესე იგი, ჰაერი მიაწვდის კისლოროდს, რომელიც შეადგენს [illegible] საზრდოს დასაწვავის ნივთიერებათათვის თუ რომ ჰაერში არ ყოფილიყო კისლოროდი, მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა არც სითბო და არც სინათლე.

თვით პროპორციაც (თანმეხვედრობა), რომელსაც ჩვენ ვპოებთ ჰაერში შესახებ კისლოროდის ისე განსაზღვრულია, როგორც კი საჭიროა ქვეყანაზედ მცხოვრებთათვის. თუ რომ ჰაერში იყოს მარტო მხოლოდ კისლოროდი, მაშინ

სიცოცხლე სულ დგმულთა იქნებოდა ძრიელ მოკლე ჟამიერი; ყოველი საწევავი ნივთიერება დაიწოდა ისე სასწრაფოთ რომ კაცი ვერაოდეს ვერეწეოდა. იმ სურვილს, რომლისთვისაც ის სწევს სხვა და სხვა საწევს ნივთიერებას. ამის მოსარიდებლათ ბრძნულს ბუნებას აურევია კასლოროდში მრავალი აზოტი, რომელიც თუმც თვით თვისით სრულიად უსარგებლოა, მაგრამ საჭიროა იმისთვის რომ დაასუსტოს ძლიერი და ჩქარი მოქმედება კასლოროდის, როგორც რომ წყალი ანესტებს მაგარს სასმელს და უნელებს იმ მეტს სიმაგრეს, რომელიც ავნებს კაცს.

თუ რომ მივუბრუნდებით ახლა უგლეკისლოტას, ჩვენ შევნიშნავთ ცხადათ, რომ ისიც ისე მიუცილებელია მცენარეთა სიცოცხლისათვის, როგორც კასლოროდი ყოველი სულდგმულისთვის: თვითეული მწვანე მცენარის ფოთოლი გამოსწოვს იმას ჰაერიდამ ვინემ უნათებს გორიზონტს ანუ შარავანდედს. რომ შესაძლო იყოს განმორება ჰაერიდამ უგლეკისლოტის, მაშინ წარმოსდგებოდა ის დიდი საზოგადო უბედურება ქვეყნისათვის, რომ სიცოცხლე როგორც მცენარეთა ისე სულდგმულთა მოისპობოდა და სრული მშვენიერი ქვეყანა წარმოადგენდა ერთს დიდს სამწუხარო უნაყოფო უდაბურს.

მაგრამ ცხოველთათვის უგლეკისლოტა არის საწამლავი, ამისთვის ეს გაზი ჰაერში არის ძრიელ მცირედი. თუმც ქვეყნის სიმგვრლეზე იპოება მრავალი იმისთანა ადგილები,

რომელთაც ნიადაგნი სავსე არიან უგლეყისლოტითა, როგორც მაგალითად კუნძული თავ-სა და გამოქვაბული წოდებული საძაღლე ქვაბად ნიაპოლის მახლობლად (იტალიაში), მაგრამ იმ სიმრავლეს უგლეყისლოტისას არა ვითარი მოქმედება მავნებელი მახლობელს არე-მარეზედ არა აქვს რა.

იმისთჳს, რომ მცენარეთ შეეძლოთ გამოღება ჰაერიდამ იმდენის უგელკისლოტისა, რამდენიც კი იმათჳს საჭიროა, ბუნებას მიუცია იმ მცენარებისათჳს მრავალი ფოთოლი რომელიც ირხევიან ჰაერში. იმ ფოთლებს აქვსთ მრავალი პირი, რომლითაც ისინი შთანსთქმენ ჰაერიდამ იმ გაზსა. მილიონი ფოთოლი, რომელიც იპოება ერთ ხეზედ და ნიადაგ განახლება დაუცხრომელათ მოძრავის ჰაერისა, რომელიც იმათ გარემემო არტყიათ, აძლევენ იმათ ღონისძიებასა გამოიღონ საჭირო რაოდენობა იმ გაზისა ჰაერიდამ.

იმ სახითვე მიუცილებელია ქვეყნიერის სიცოცხლისათვის წყლის ორთქლნი, რომელთაც შეიცავს ჰაერი. თითქმის სამს ნაწილს სრულიად ცხოველის მცენარისას შეადგენს წყალი, რომელიც დაუცხრომლათ ადის უხილავ ორთქლათ. ყველამ იცის, რომ მშრალს ჰაერში წყალი შრება, ესე იგი ორთქლათ ადის ზევით, ვინემ ნოტიოს ჰაერში; ამისთვის თუ რომ ჰაერში არ იყოს ორთქლი, მაშინ წყალი უფრო საჩქაროთ გაშრებოდა ხის ფოთლებზედ და ველარ მოასწრობდა

განახლებას იმ წყლისას ფესვებიდამ და ამისგამო ხის ფოთლები მოკლეს დროში დასჭკნებოდნენ და მცენარეც გახმებოდა.

ცხოველის გვამიც უმეტეს ნაწილათ შესდგება წყლისაგან. კაცი, რომელიც იწონს ას ორმოცდა თორმეტს გირვანქას, შეიცავს ას თექვსმეტ გირვანქა წყალს, და ოცდა თვრამეტს სხვა ხმელ ნივთიერებას. იმისის ფილტვიდამ და ტყავიდამ ნიდაგ გამოორთქლამს წყალი. თუ რომ ის ჰაერი, რომელიც გარშემო გვარტყია, იყოს სრულიად მშრალი, მაშინ ტყავი ცხოველისა სრულებით გახმებოდა და მოიხრუკოდა, და სრული გვამი ანუ სხეული იქნებოდა ტანჯული მოუწყვეტელის წყურვილით. ჰაერი, რომელსაც კაცი ფილტვიდამ გამოსცემს არის სავსე ნოტიოთი, ამისთვის. თუ რომ ის ჰაერიც, რომელსაც კაცი ჰყლაპავს დაუცხრომელათ, იყოს მშრალი, მაშინ სინოტიოე, რომელიც ავსებს ფილტვსა, მსწრაფლად სხეული ცხოველის გარდაიქცეოდა გამხმარ მუმიათ. აი თუ რა მიზეზით შინდვერის ცხელი ქარები, მოკლებულნი ყოველს სინოტიოეს, ისე მავნებელათ მოქმედებენ მოგზაურებზედ უწყლო აზიისა და აფრიკის უდაბნოებში.

ჰაერის სინოტიოე არამც თუ დაიცვებ მცენარეთ და ცხოველთა გახმობისაგან, არამედ ორთავ შესძენენ მიუცილებელს ნაწილს საზრდოსა. როდესაც მზე ჩადის შარავანდედს იქით, მაგრილებელი სიო მოეფინება სიცხისაგან შე-

წუხებულს მცენარეს და გამხმარს მიწის ზურგსა, მაშინ უხილავი სინოტიოე ჰაერისა გროვდება, დაეშვება ნაყოფიერ ცვარათ წვრილ-წვრილ წვეთებათ ყოველს ცივს ნივთიერებასა და ერთისა და იგივე დროსა უკლამს წყურვილსა როგორც მწვანე ფოთლებს ისე მწყურვალე ხნულებს.

და როცა მხარე უფრო ცხელია და ჰაერი თბილი, იქ მეტი შეიცავს ჰაერში წყლის ორთქლი. ცივს ტაროსში ორთქლი ბევრით ნაკლებია. ამისთვის, როცა გამაძღარი წყლის ორთქლით ჰაერის ნაკადი შეეხება მთის წვერსა და გაგრილდება იქა, ვეღარ იმაგრებს იმ რაოდენობას წყლისას რომელსაც შეიცავს: გამოხსნილი ერთი ნაწილი ორთქლებისა მთის წვერის მახლობლათ შეადგენს ნისლსა ანუ ღრუბელსა. ნაწილნი იმ ღრუბლების წყლისა, დაეშვება ვაკეზედ. შთაინთქმის მიწისაგან და მერე ხელ ახლათ ამოდის მიწიდამ წყაროს მზგავსად. როდესაც მიწის პირი გაგრილდება, მახლობელი იმაზედ ჰაერიც მაშინ გაგრილდება და განთავისუფლებს ნაწილს წყლის ორთქლებისას, რომელსაც ის შეიკავდა. ეს წყალი ძრიელ წვრილ-წვრილ წვეთებათ დაეშვება თვითეულს ხის ფოთოლზე და ბზინავს იმაზე ალ-მასივით; ეს ის არის ვენჩ რომ დილის ცვარს ვეძახით.

იმავ წყლის ორთქლებიდამ შესდგებიან წვიმები ჩვენის ქვეყნებისა.

წვიმა, გარდა იმისა რომ მსახურებს მცენარეთა საზრდოთ, აღმოაჩენს სხვას სარგებლობასაც: ის სწმენდს ჰაერსა მით, რომ ჩამოაქვს თან მიწაზედ ის შემთხვევითად მერყეულნი

ჰაერში ნაწილნი ნივთიერებისა რომელნიც არიან კაცისა და ცხოველისთვს მავნებელნი და იმავე დროს ძრიელ სასარგებლონი მცენარის აღორძინებისათვს მაშასადამე წვიმა ორ რიგათ სასარგებლოა ჩვენის სიმრთელისა და კეთილ-დღეობისათვს: პირველათ ის სწმენდამს ჰაერსა, რომლითაც ჩვენ ნიადაგ ვსუნთქამთ და აღაორძინებს ყოველს მცენარეს, რომელიც აკმაყოფილებს მრავალს ჩვენს საჭიროებასა.

როგორც კი წვიმა გადაიღებს და მოწმენდილის ციდამ მზე იწყებს ქვეყნის თბობასა, ხელ ახლათ ადის ზემოთ ორთქლი და მაგრილობელი ქარი აშრობს ნოტიო მიწის ზურგსა. არიან იმისთანა მხარეები, სადაც დიდს ზღვებს იქით არსებობს საუკუნო ზაფხული. ეს მხარეები ძრიელ ეწევიან ჰაერის ორთქლით გაძღომასა. ქარებს გარდააქუსთ ეს წყალი შორს მიწებში, და ამ გვარათ მრავალს ადგილს მიწა სვამს იმ წყლის ნამსა, რომელიც ჰაერმა ჩაყლაპა ოკეანიდამ. ამ სახით გადიან ათასი წელიწადები და ბუნება შეიცავს იმ წესსა, რომ ჰაერი შეიცავს ერთს და იგივე ნაწილებსა, რომლის ძალითაც ის იპყრობს და ნიადაგ განაახლებს სრულს ცხოველს ბუნებასა. ამ გვარ გარემოტრიალში არა რაიმე არ იკარგების უბრალოთ: ნაწილნი იმ ნახშირისა, რომელთა ჩვენა ვსწვავთ ფეჩში, შეერთდებიან რა ჰაერის კისლოროდსა, შეადგენენ უგლეკისლოტასა, რომელსაც შთანსთქმენ ფოთლები ჩვენის ტყეებისა და ბაღების ხეებისა, და შეადგენენ რა ხელ ახლათ მიუცილებელს ნაწილს ხისა-

სა, ხელახლათ იწვიან, და გამოსული იმათგან კისლოროდი შეერთდება ისევ ჰაერსა და იქიდამ ისევ ფეჩის ალში ან ცხოველის ფიქვში სხვას ანუ იმავ ნახშირის ნაწილებსა.

დასასრულ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ჰაერი შეიცავს სხვა მრავალს წვრიმალს შემთხვევითს ნივთიერებასაც რომელნიც ეგრეთვე შეადგენენ იმის საჭირო ნაწილსა და ადიან ჰაერში მიწის ზურგიდამ იმათის სიმსუბუქის გამო. იმათში ყველაზე მეტათ ღირს შესანიშნავია ნივთიერება, რომელსაც ეძახიან ამმიაკსა, და რომელსაც აქვს საკუთარი სასარგებლო მოქმედება ანუ გავლენა მცენარის კარგათ აღორძინებაზედ. ეს გაზი, რომელსაც ნიშა დურის სუნი ყველა იცნობს, გაჩნდება დამპალთაგან ცხოველთა, და მცენარეთასა, და არის მიზეზი იმ სამყრალისა, რომელიც არსებობს ქვეყანაზედ. ის ხშირათ ადის ჰაერში სხვა და სხვა ადგილის დედა მიწის ზურგიდამ, და ამისთჳს იმას ჰპოებენ ყოველს ადგილს, სადაც კი ჰაერი გაუყვიათ ხიმიურ ნაწილებათ, ასე რომ ზოგიერთნი სწავლულნი ჰგონებენ, რომ ამმიაკიც ისეთი მიუცილებელი შემადგენელია ჰაერისა, როგორც სხვა ხსენებული ოთხი გაზი. ყოველს შემთხვევაში შეადგენს მიუცილებელს პირობა აღორძინებისათჳს მცენარეთა.

ქარებს, ერთად წყლის ორთქლებთან, მიაქვსთ შორს ოკეანის პირიდამ სხვა მინერალის ნაწილებიც, რომელნიც შეიცვიან ზღვებში. ამ სახით ყოველნი შემადგენელნი ნაწი-

ლნი ზღვის წყლისა, შეერთდებიან ჰაერსა, ასე რომ ერთიან ჰაერთან ჩვენ გარეშემო გვარტყია მრავალი სხვა და სხვა გარეშე ნაწილი რომელთაც გავლენა ცხოველსა და კაცზედ, თუმცა არ არის კარგათ განმარტებული, მაგრამ ეს კი უეჭველია რომ არ არის მცირე.

ყოველივე ის სხვა და სხვა ნაწილები მოგროვილნი ერთათ ჰაერში უეჭველია შეიქნებოდნენ ცხოველთა თუ მცენარეთათვს მავნებელნი, მაგრამ, როგორც ზევითაც ვსთქვით წვიმის დროს წყალს ჩამოაქვს ძირს ის ნაწილები და იმით სწმენდს მავნებელნი ნივთიერებათაგან ჰაერსა.

ამ სახით მრავალი შრომა და დროება მოიხმარა ყოვლის გამომძიებელმა ენერგიულმა კაცის გონებამ შესატყობათ ჰაერის შემადგენელის ნაწილებისა და იმათზედ ყოვლისავე სულდგმულისა და მცენარის დამოკიდებულებაზედ და ვინ იცის კიდევ თუ რამდენი მიუწთომელი საიდუმლოება იმალეის იმ უბრალო გაზში, რომელსა ჩვენ უწოდებთ ჰაერსა.

## წ ყ ა ლ ი.

წყალი, რომელიც შეადგენს ჩვენს ნიადაგს და ფრიად შეარგებს სასმელსა, უალრესის როლისამებრ თვსისა, რომე-

ლიც იმას ბუნებაში უპყრია, უსათუოთ სდგას პირველს ადგილზე, შემდეგ ატმოსფერის ჰაერისა. ეს ნივთიერება შეადგენს უპირველესს ნაწილსა ყოველის ცხოველისას და მცენარისას, და უჭირავს სამი ნაწილი მიწის სივრცისა, და აქვს ზოგან განუზომელი სიღრმე, მაშასადამე ეკუთნის უმეტესათ იმ სხეულთ რიცხვსა, რომელნიც არიან მოფენილნი ჩვენს მიწის სიმგრგვლეზედ.

წმინდა წყალი შესდგება ორის მარტივის ნივთიერებისაგან, ანუ სხეულისაგან. ჩვენ აქ ვიგულისხმებთ მარტივთ სხეულთა ხიმიურის აზრით, ესე იგი: ისეთს სხეულებსა, რომელნიცა ვერა ვითარის აქამომდე ცნობილის საშვალობეებით ვერ დაუხსნიათ მათ შემადგენელს ნაწილებად. ამისთანა სხეულებსა ხიმია სთვლის სამოცდა სამსა, იმათ რიცხვში არიან: ოქრო, ვერცხლი, რკინა, ფოსფორი, გოგირდი და სხ.

ვოდოროდი არის გაზი, რომელსაც არა აქვს არც გემო, არც ფერი და სუნი. ის იმ გაზებთაგან, რომელნი ჩვენ ზევით აღვსწერეთ განსხვავდება საკუთარის სიმსუბუქითა და მით, რომ როგორც კი მოხვდება ჰაერში მოკიდებული რამე ნივთი მსწრაფლად აენთება ისიცა.

მოპოება ვოდოროდისა არ წარმოადგენს არა ვითარს სიძნელეს: თუ რომ მინაში ჩვენ ჩავყრით რკინის ნაფხვესა და დავასხამთ შაბიაბანის ზეთს, გაზავებულსა ექვსი იმდენს წყალში: მაშინ წყალ ზევით გამოჩნდებიან მცირედი ბუშტები

ვოდოროდისა, რომელნიც გამოაძევენ წვრილ-წვრილათ მინიდამ ჰაერსა. როდესაც დავრწმუნდებით, რომ მინაში აღარ არის ჰაერი და ის სრულებით სავსეა ერთის მხოლოდ ვოდოროდითა, მაშინ ჩვენ იმას უნდა დავუცოთ პრობკა, რომელშიაც უნდა იყოს გაყრილი, თავ იწრო მიწის მილი; თუ რომ იმ მილის ზემო წვერთან მივიტანთ მოკიდებულს კვარსა, მაშინ გაზი აენთება და გამოსცემს სუსტს ლურჯს ალსა, რომელსაც აქვს ძრიელ დიდი სიცხე. თუ რომ იმ ვოდოროდს არ მოვუკიდებთ იმ დროსა, როდესაც სრულიათ გამოსულია მინიდამ ჰაერი, მაშინ კი ხლოროდისა და ვოდოროდისაგან შესდგება შერეულება მქუხარე ჰაერი, რომელიც იწვის სასწრაფოთ ტკაცა ტკუცით და რომელსაც შეუძლიან მინის გახეთქა. თუ რომ ვოდოროდი ალსა დავხურამთ სრულებით მშრალსა და ცივს სტაკანსა, მაშინ შიგნით მხარეს სტაკნისას მოედება წყლის წვეთები. ვოდოროდი თოთხმეტ გზის უმსუბუქესია ჰაერზედ.

წყალს გარდა ვოდოროდი იპოება სხვა და სხვა ნივთიერებაშიაც: ქვისნახშირში, ხეში, ზეთსა თუ ერბოში და ყოველ რიგ ქონში; როდესაც ის ნივთიერებები ანთია ჰაერში, შეცული იმათში ვოდოროდი გარდაქცევა წყლათა, რომელსაც ჩვენ თვალით კი ვერ შევნიშნავთ, ამიტომ რომ ძრიელ სიცხისაგან იმ მოკიდებულის სხეულებისა, ის წყალი უხილავ ორთქლათ ქრება ჰაერში. მაშასადამე წყალი შესდგება ვოდოროდისა და კისლოროდისაგან. ერთ გირვანქა

წყალში შეიცვის ოთხმოდა თექუსმეტი მისხალი კისლოროდისა და ათიც ვოდოროდისა.

შესადგენელათ ჰაერისა საჭიროა ოთხი გაზი; მაგრამ ეს გაზები არიან ერთმანეთში შეერთებულნი სრულიად არა ისე როგორც ისინი, რომელთაგანაც შესდგება წყალი. ნაწილნი ჰაერისა უბრალოთ არიან არეულნი ერთმანეთში თუ რომ აურევთ ერთათ აზოტსა კისლოროდსა, უგლეკისლოტასა და წყლის ორთქლსა, მაშინ ჩვენ შევადგენთ ხელოვნებითს ჰაერსა, რომელიც არასფრით არ განსხვავდეს ბუნებითს ჰაერისაგან; თუ რომ აურევთ ათს მისხალს ვოდოროდსა, ოთხმოცდა თექუსმეტი მისხალს კისლოროდსა, ჩვენ შევადგენთ იმითი გაზის მსგავსს შეერთებასა, რომელიც სრულიად არ ეგვანება წყალსა; თუ რომ მოუკიდებთ, ცეცხლსა ამ შეერთებულთ ნივთიერებათა; მაშინ ფეთქასა და დარჩება ერთი გირვანქა წყალი, რომელშიაც ვერა ვპოებთ ვერა ვითარს ნიშანს ვოდოროდისა და კისლოროდისას: ვოდოროდი არის ძრიელ მსუბუქი და ადვილ ასანთები, წყალი არის უმძიმესი ჰაერისა და არ მოეკიდება ცეცხლი; კისლოროდი იპყრობს ცხოველის სიცოცხლესა და აძლიერებს ანთებულებასა წყალი აქრობს დიდს ცეცხლსა, მიწის ცხოველი იხრჩობა წყალში რამდენსამე წუთში. ერთის სიტყვით წყალი არ არის უბრალო მეხანიკური შეერთება, არამედ ის არის ხიმიკური შეერთება ვოდოროდისა კისლოროდთან; სხვა ნაირათ ვსთქვათ, ისეთი შეერთება კისლოროდისა ვოდოროდთან. რომელშიაც ის

ნაწილები არიან ისე რიგათ არეულნი ერთმანეთში, რომ სრულებით დაუკარგავსთ პირველ დასაწყისი თვისი ხასიათი და შეუდგენიათ ახალი ნივთიერება, გარეგანობით და თვისის თვისებეებით სრულიად იმათგან განსხვავებული.

რომ წყალი მიუცილებელია ცხოველისა და მცენარის სიცოცხლისათვს, ეს სჩანს იქიდამა, რომ ის იპოება დიდს რაოდენობაში როგორც მცენარეთა, ისე ყოველს სულდმულში ქვეყანაზედ. გარდა ამისა ბუნებას შეუძენია წყლისათვს სხვაც მრავალი თვსება სასარგებლო და მიუცილებელი ყოვლის ცხოველისა და მცენარისათვს, და რომელნიც ღირსი არიან ჩვენის სრულის ყურადღებისა.

გ. დიდებულიძე.

## რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, ვისაც ამ წლის ცის-კრის და გუთნის-დედის ფული არ შემოუტანია, დროთი შემოიტანონ. —

---

„ცისკრის„ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. დამატებით, 7 მან.

სხუა ქვეყნებში გაუგზავნელად დაუმატებლივ 7 მან. დამატებით, 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის„ რედაქციაში ტფილისს.

---

дозволено цензурою, июня 15. 1868 გამ. ი. კერესელიძე.